

თბილისის
ვანო
სარაჯიშვილის
სახელობის
სახელმწიფო
კონსერვატორიის
ტრადიციული
მრავალხმიანობის
კვლევის
საერთაშორისო
ცენტრის
ბიულეტენი

თბილისი. ივნისი, 2014

№ 16

ახალი ამბები
საქართველოს ეთნომუსიკალური
ცხოვრება

უცხოელი ეთნომუსიკოლოგები
სიმჰა არომი

ქართველი ეთნომუსიკოლოგები
შალვა მშველიძე

კუკური ჭოხონელიძის გახსენება

უცხოური მრავალხმიანობა
ტრალალერო – გენუის პოლიფონია

ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი
„სახიობა“

ქართული სიმღერის მოამბეები
კავსაძეები

უცხოური ფოლკლორული ანსამბლი
ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების დასი

ქართული კულტურისა და მეცნიერების
კერები
აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი

ქართული სიმღერის უცხოელი
შემსრულებლები
ტრიო „კავკასია“ ამერიკიდან

„ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ პოლონეთში

ქართული ხალხური საკრავები
სანთური

ერთი ჟანრის შესახებ
ნადურები

ერთი სიმღერის ისტორია
„ჩონხათურა“

ახალი ამბები

საქართველოს ეთნომუსიკალური ცხოვრება (იანვარი-ივნისი, 2014)

ფესტივალები და კონფერენციები

26.04.2014 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა მეხუთე საერთაშორისო სამუსიკისმცოდნეო სტუდენტური კონფერენცია-კონკურსი, რომელიც ანსამბლ „დიდგორის“ სოლო კონცერტით დაიხურა.

1-2.05.2014 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა მაგისტრანტთა და დოქტორანტთა V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია (სახელოვნებო მეცნიერება, პრაქტიკა, მენეჯმენტი).

28-29.05.2014 – ბათუმის ხელოვნების სასწავლო სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე „კულტურა და ხელოვნება: ტრადიცია და თანამედროვეობა“.

29.05.2014 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ და ფოლკლორისა და ტრადიციული ხელოვნების ორგანიზაციათა საერთაშორისო საბჭოს (CIOFF) საქართველოს ეროვნულმა კომიტეტმა გამართა ახალგაზრდა ეთნომუსიკოლოგთა კონფერენცია და ფოლკლორული სადამო-კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „სათანაომ“, „ახალუხლებმა“, „ადილეიმ“ და კონსერვატორიის სტუდენტთა გუნდმა.

კომპაქტ-დისკები, მასტერ-კლასები, ლექციები და სხვ.

27.02.2014 – მგალობელთა გუნდმა „აღსავალი“ მოაწყო მესამე CD-ს პრეზენტაცია.

13.03.2014 – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა საქველმოქმედო ლექცია 202-ე უსინათლო ბავშვთა სკოლის მოსწავლეებისთვის.

15.05.2015 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ქართველი ეთნომუსიკოლოგის, ილიას სახელმწიფო უნივერსი-

ტეტის ასოცირებული პროფესორის, თამაზ გაბისონიას საჯარო ლექცია თემაზე: „ქართული ტრადიციული მუსიკის შემსრულებლობა – თანამედროვე რაკურსი“. **მაისი, 2014** – ქალთა მგალობელ-მომღერალთა გუნდმა „სათანაომ“ ჩაწერა CD – „იესო ტკბილის პარაკლისი“.

17.05.2014 – „ხალხური სიმღერა ძველად და დღეს“ – ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ლექცია-კონცერტი საყმაწვილო სტუდია „ამერ-იმერის“ წინორის ჯგუფთან.

18.05.2014 – მუზეუმების საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა მანანა შილაკაძის ხსოვნის სადამო და შეხვედრა-კონცერტი დები ჭოხონელიძეების მუსიკალური სტუდიის აღსაზრდელებთან.

22.05.2014 – ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა მოაწყო მრგვალი მაგიდა თემაზე „ქართული მუსიკალური ფოლკლორის კვლევის ეთნომუსიკოლოგიურ-ანთროპოლოგიური ასპექტები“, რომელშიც ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობა მიიღო ესპანელმა ეთნომუსიკოლოგმა პოლო ვალეკომ.

22.05.2014 – რუსთავის ისტორიულ მუზეუმში მოეწყო ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის გამოფენის – „ეთნოგრაფია და ქართული საკრავები“ – გახსნა.

28-30.05.2014 – ქალთა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ნანინამ“ განახორციელა პროექტი „შემოქმედებითი დღეები აჭარაში“, რომლის ფარგლებში ჩატარა სოლო კონცერტი ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, მასტერკლასი აჭარის ზოგადსაგანმანათლებლო და საჯარო სკოლების მუსიკის პედაგოგებისთვის და შეხვედრა-კონცერტი ქედის რაიონის ქალთა ფოლკლორულ ანსამბლ „იაგუნ-დთან“.

დისერტაციის დაცვა

3.05.2014 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შედგა თეონა რუხაძის სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე „ქართული საქორწილო მუსიკა – ჟანრისა და სტილის საკითხები“.

20.06.2014 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შედგა ოთარ კაპანაძის სადოქტორო დისერტაციის დაცვა თემაზე: „ქართული საფერხულო სიმღერები: მუსიკალური ენის თავისებურებები“.

ექსპედიციები

23-28.05.2014 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დოქტორანტურის I კურსის სტუდენტი გიორგი კრავეიშვილი იმყოფებოდა ექსპედიციაში ხელვაჩაურის რაიონის სოფელ სარფში და გაღმა ლაზეთში, კერძოდ, ქალაქებში: ფინდიკლი (ვიწე), არჰავი და ხოფა, ასევე, ხოფის რაიონის სოფლებში: პირონითი და ქემაღლაშა (ექსპედიციის წევრები: თამაზ კრავეიშვილი და ზურაბ ვანილიში).

აპრილი, 2014 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ეთნომუსიკოლოგიურმა მიმართულებამ მოაწყო ექსპედიცია გორის რაიონის სოფელ ჯარიაშენში (ექსპედიციის წევრები: თამაზ გაბისონია, მალხაზ რაზმაძე, ლიკა ქადაგიშვილი და ზურაბ წკრიალაშვილი).
23.06-3.07 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების მიმართულებამ მოაწყო ექსპედიცია დედოფლისწყაროს რაიონში (ექსპედიციის წევრები: ნატალია ზუმბაძე, ქეთევან მათიაშვილი, გიორგი კრავეიშვილი).

ახალი გამოცემები

გამომცემლობა „ციცინათელამ“ გამოსცა წიგნი **„ქართული მუსიკა“** სერიიდან „საკითხავნი ყმაწვილთათვის“ (ტ.27). (შემდგენელ-რედაქტორი: ნინო კალანდაძე-მასხარაძე).

ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრმა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ გამოსცა წიგნი **„ქართული საეკლესიო გალობა. შემოქმედის სკოლა“** (შემდგენელი: დავით შუღლიაშვილი)(მეორე გამოცემა).

გამომცემლობამ „წიგნი+ერი“ გამოსცა ავტორთა ჯგუფის მიერ შედგენილი VI წიგნი სერიიდან **„ჩვენი ღირსებანი“**, რომელიც ეძღვნება ქართულ ტრადიციულ ხელოვნებას. წიგნს ახლავს აუდიო და ვიდეო დანართი CD-ს სახით.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიამ გამოსცა მანანა ანდრიაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი წიგნი **„გახსენება“** (რედაქტორ-შემდგენელი: მარინა ქავთარაძე).

კონცერტები და საღამოები

24.01.2014 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრში ანსამბლმა „ძირიანმა“ გამართა შეხვედრა-კონცერტი.

30.01.2014 – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა სოფელ ხაიშის მხარდასაჭერი საქველმოქმედო კონცერტი „ლაღხორ – ხმები მთებისთვის“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „ანჩისხატი“, „ლაგუშედა“, „აღსავალი“, „ნანინა“, „ძირიანი“, „სათანაო“, „სახიობა“, „ჯვარული“, „იალონი“, „კვირია“.

30.01.2014 – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხალხური სიმღერის სტუდენტურმა ანსამბლმა გამართა სოლო კონცერტი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში.

2.02.2014 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა წმინდა ექვთიმე აღმსარებლისადმი მიძღვნილი სიმღერა-გალობის კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ანსამბლებმა: „იალონი“, „დიდგორი“, „აღსავალი“, „პატარა კახი“; გორის კულტურისა და სულიერი განათლების ცენტრის ვაჟთა გუნდმა, კასპის წმ. ვახტანგ გორგასლის სახელობის საკათედრო ტაძრის ვაჟთა გუნდმა.

3.02.2014 – რუსთაველის თეატრის დიდ დარბაზში ანსამბლმა „მთიებმა“ გამართა ფოლკლორული საღამო „ზარი“.

1.03.2014 – თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა ანსამბლ „ქართული ხმების“ სოლო კონცერტი და ახალი CD-ს პრეზენტაცია.

9.03.2014 – თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა მომღერალ-მგალობელ ქალთა გუნდის „სათანაოს“ სოლო კონცერტი.

18.05.2014 – მუზეუმების საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში მოეწყო „საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების მუზეუმის“

განახლებული ექსპოზიციის გახსნისადმი მიძღვნილი მუსიკალური საღამო“.

1.06.2014 – ბავშთა საერთაშორისო დაცვის დღესთან დაკავშირებით ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლების – „კირიალესას“ და „აკრიანის“ კონცერტი.

5.06.2014 – თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდმა გამართა სოლო კონცერტი თბილისის ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში.

გასტროლები

14.01.2014 – თბილისის ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძრის საპატრიარქო გუნდმა ქ. მოსკოვის „მუსიკის საერთაშორისო სახლის“ საკონცერტო დარბაზში გამართა სოლო კონცერტი, რომელზეც შესრულდა ქართული ხალხური სიმღერები, საეკლესიო საგალობლები და თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა საგუნდო ნაწარმოებები.

27.04-11.05.2014 – ანსამბლი „სახიობა“ იმყოფებოდა პოლონეთში, სადაც გამართა 10-მდე კონცერტი, მასტერკლასი და ლექცია-სემინარი სხვადასხვა ქალაქში: ვარშავა, უპრასლი, ბილიასტოკი, ვროსლავი, ვალბჟიხი და კატოვიცა.

მაისი, 2014 – მგალობელ გოგონათა გუნდმა „იალონმა“ პოლონეთში, „ჰაინოვიკის მართლმადიდებლური მუსიკის ფესტივალის“ ფარგლებში მონაწილეობა მიიღო ხალხური სიმღერისა და საგალობლების კონცერტებში შემდეგ ქალაქებში: ჰაინოვიკა, ბილიასტოკი, მიხაილოვო და დაიმსახურა საკონკურსო კატეგორიებზე მადლა მდგომი „გამორჩეულის“ დიპლომი.

23.04-2.05.2014 – „ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ საგასტროლოდ იმყოფებოდა პოლონეთის ქალაქებში: ბიალსკო-ბიალა, კრაკოვი და ჩესტოხოვა.

21-30.05.2014 – ანსამბლი „ქართული ხმები“ საგასტროლოდ იმყოფებოდა ბალტიისპირეთის ქვეყნებში – ესტონეთში, ლიტვასა და ლატვიაში.

ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიურმა ანსამბლმა „**რუსთავ-**

მა“ გასტროლებით იმოგზაურა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში:

1-4.05.2014 – გერმანია, ქ. ვისბადენი – „მაისის საერთაშორისო ფესტივალი“;

6.05.2014 – გერმანია, ქ. ინგოლშტადტი – ინგოლშტადტის საკონცერტო კომპანია „ემ-ბი-ეინ“-თან (mbH) ერთობლივი კონცერტი.

30.05-4.06.2014 – ირლანდიის რესპუბლიკა, ქ. დუბლინი – „გემების საერთაშორისო ფესტივალი“.

საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის პროექტები იხ: www.folk.ge.

მომზადდა მაკა ხარძიანმა

უცხოელი ეთნომუსიკოლოგები

სიმჰა არომი



სიმჰა არომი

ჩვენი რუბრიკის სტუმარია სიმჰა არომი – ცნობილი ფრანგი ეთნომუსიკოლოგი, სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი, სამეცნიერო კვლევის ეროვნული ცენტრის (CNRS) საპატიო დოქტორი, ამავე ცენტრის ლაბორატორიის – ზეპირი ტრადიცია – ენები და ცივილიზაციები (LACITO) – ეთნომუსიკოლოგიის განყოფილების გამგე, საქართველოს დიდი

მეგობარი, ქართული ტრადიციული მუსიკის თაყვანისმცემელი და მკვლევარი.

ის იმ რამდენიმე მეცნიერს შორისაა, რომელთაც არ გამოუტოვებიათ თბილისში 2002 წლიდან გამართული არც ერთი სიმპოზიუმი და თავიანთი მონაწილეობით მის მაღალ მეცნიერულ დონეს განსაზღვრავდნენ.

2006 წლიდან სიმკა არომი თავის მოწაფესთან, ასევე ცნობილ ესპანელ ეთნომუსიკოლოგთან პოლო ვალეპოსთან ერთად ქართული პოლიფონიით დაინტერესდა. ნაყოფიერი აღმოჩნდა მათი თანამშრომლობა ანსამბლ „ბასიანთან“, რომელთან ერთად ისინი ხვდებიან ხალხურ მომღერლებს, იკვლევენ ქართული მუსიკის სინტაქსს და კვლევის შედეგებს თბილისის სიმპოზიუმებზე წარმოადგენენ.

განსაკუთრებული მადლიერება გვახსებს იმ დამოკიდებულების გამო, რომელსაც ბატონი სიმკა პოლოსთან ერთად ამჟღავნებს ქართული ტრადიციული მუსიკალური კულტურის მიმართ და იმ საგანმანათლებლო მოღვაწეობის გამოც, ანსამბლ „ბასიანთან“ ერთად ლექცია-კონცერტებით რომ ეწევა ევროპაში. სწორედ მისი თაოსნობით გაიმართა 2012 წელს VI სიმპოზიუმის ფარგლებში მრგვალი მაგიდა შუა საუკუნეების მუსიკის ქართულ-ევროპულ პარალელებზე და მისმა ავტორიტეტმა ჩამოიყვანა თბილისში ამ მუსიკის აღიარებული მკვლევარი, კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორი სუზან რანკინი. . .

სიმკა არომი ეთნომუსიკოლოგთა წრეში ცნობილია, როგორც ცენტრალური აფრიკის მრავალხმიანობის მკვლევარი, რომელმაც აფრიკულ მუსიკას მიუძღვნა ერთ-ერთი უსერიოზულესი ეთნომუსიკოლოგიური შრომა *აფრიკული პოლიფონია და პოლირიტმია – მუსიკალური სტრუქტურა და მეთოდოლოგია*. ბატონმა სიმკამ ათწლეულების მანძილზე მოღვაწეობის შედეგად შეიმუშავა ფოლკლორული მასალის ინტერაქტიული ჩაწერის მეთოდები, რომლებიც ზეპირი ტრადიციის ნებისმიერი მრავალხმიანი მუსიკის ტრანსკრიფციისა და ანალიზის საშუალებას იძლევა.

სიმკა არომი დაიბადა 1930 წელს. უმაღლესი მუსიკალური განათლება პარიზის კონსერვატორიაში, საყვირის სპეციალობით მიიღო. წლების მანძილზე უკრავდა იერუსალიმში, ისრაელის სიმფონიურ

ორკესტრში, თუმცა, საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, როგორც ეთნომუსიკოლოგმა, მას შემდეგ, რაც ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კულტურული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში მიაგვლინა ინტენსიური სავსე ექსპედიციების ჩასატარებლად.

მოგვიანებით, მან გაიარა ეთნომუსიკოლოგიის კურსი სორბონის უნივერსიტეტში და ფილოსოფიის დოქტორის ხარისხი მოიპოვა.

სიმკა არომზე შეიძლება დაიწეროს საინტერესო ნოველა, თუ როგორ იქცა ისრაელის ორკესტრის მუსიკოსი ცენტრალური აფრიკის პიგმეების მუსიკის მსოფლიო ექსპერტად.



სიმკა არომი აფრიკაში

სიმკა არომი ავტორია მრავალი სამეცნიერო სტატიის, ჩანაწერის (კომპაქტ დისკის), წიგნისა და ფილმისა, რომლებიც სხვადასხვა დროს პრესტიჟული ჯილდოებით აღინიშნა.

2011 წელს სიმკა არომს მსოფლიო ეთნომუსიკოლოგიაში შეტანილი წვლილისთვის ფუმიო კოცუმის პრემია მიენიჭა.

ჩვენ ვამაყობთ, რომ ბატონი სიმკა ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ცენტრის მეგობარია და ძალიან გვინდა, რომ ჩვენი ურთიერთობა მუდამ ისეთივე გულწრფელი და პირუთვნელი დარჩეს, როგორც ეს აქამდე იყო.

ჯილდოები:

1971 : Grand Prix International du Disque, Académie Charles Cros

1978 : Grand Prix International du Disque, Académie Charles Cros, Mention In Honorem, "Prix du Président de la République"
 1984 : Médaille d'Argent du C.N.R.S.
 1985 : Grand Prix International du Disque, Académie Charles Cros, "Prix André Schaeffner"
 1988 : Grand Prix du Disque, Nouvelle Académie du Disque, 'Palmarès des palmarès'
 1992 : ASCAP (American Society of Composers, Authors & Publishers), Deems Taylor Award for Excellence in Music literature, New York
 1998 : Prix Moebius International
 Grand Prix Investigation et publication scientifique, 3ème Festival du Film de Chercheur, Nancy
 7e Prix Möbius France, Multimédia, Sciences, Cultures, Éducation
 Honorary life member, European Seminar in Ethnomusicology
 1999 : Prix Spécial "Cédéroms", 4ème Festival du Film de Chercheur, Nancy
 2007 : Chevalier des Arts et des Lettres
 2008 : 20th Annual Koizumi Fumio Prize for Ethnomusicology (Tokyo)
 Prix International de la Fondation Fyssen (Paris)
 2012 : Honorary Member, International Musicological Society.

სიმჰა არომის შრომების ჩამონათვალი, აგრეთვე დისკოგრაფია და ფილმოგრაფია ის.

http://en.wikipedia.org/wiki/Simha_Arom

ქართველი ეთნომუსიკოლოგები

შალვა მშველიძე

შალვა მშველიძე XX საუკუნის ცნობილი ქართველი კომპოზიტორია, რომლის საოპერო, სიმფონიური თუ საგუნდო ნაწარმოებები მკვეთრად ეროვნული ნიშნითაა აღბეჭდილი. ამის მიზეზი ისაა, რომ მომავალი კომპოზიტორის მუსიკალური ბიოგრაფია ხალხის წიაღში დაიწყო – ბავშვობიდანვე ეზიარა ქართულ ხალხურ მუსიკალურ შემოქმედებას, რომელიც ორგანულად შეეზარდა მის ბუნებას და ბავშვობის წლებიდანვე მისი უსახლოვრო სიყვარულის საგანი გახდა. უკვე 8 წლისა სახალხო გუნდში მღეროდა; წლების მანძილზე მისი მასწავლებელი იყო ქართული მუსიკის დიდი მოამაგე ია კარ-

გარეთელი; 16 წლიდან ცნობილი სახალხო მომღერლისა და ლოტბარის – ძუკუ ლოლუას ეთნოგრაფიულ გუნდში გააგრძელა სიმღერა; მოგვიანებით კი თვითონ ჩამოაყალიბა ფოლკლორული გუნდები ჯერ სურამსა და გორში, ხოლო შემდეგ – თბილისში.



შალვა მშველიძე

მშველიძის მუსიკალურ ბიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მრავალრიცხოვან ფოლკლორულ ექსპედიციას. ჯერ კიდევ სტუდენტობისას დაიწყო მან მოგზაურობა ხალხური სიმღერების შესაკრებად. ამ მხრივ შ. მშველიძემ უფროსი თაობის ქართველ კომპოზიტორთა გზა გააგრძელა, რომლებმაც საკუთარი შემოქმედების დაწყებამდე ხალხური შემოქმედება შეისწავლეს.

თავდაპირველად შ. მშველიძე სვანეთს ეწვია (1927), შემდეგ კი – ქართველ კომპოზიტორთაგან პირველი გაეცნო აღმოსავლეთ საქართველოს მთის კუთხეების – თუშეთის, ფშავისა და ხევსურეთის უძველეს ფოლკლორს (1929). ერთი წლის შემდეგ მან კახეთში იმოგზაურა და ცნობილი ხალხური მომღერლის – დედას ლევანას დახმარებით გაეცნო და ჩაიწერა უძვირფასესი სასიმღერო ნიმუშები. 1930 წელს მშველიძემ მთლიანად მოიარა გურია, სადაც დაუახლოვდა ცნობილ მომღერლებს – ძმებს ჩაღღეიშვილებს. ამის შემდგომ კომპოზიტორის მუსიკალურ-ეთნოგრაფიული ინტერესის წრეში მოექცა ქიზიყის, აჭარისა და მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორი.

ხალხში მოგზაურობის შვიდი წლის მანძილზე შ. მშველიძემ საქართვე-

ლოს ბარისა და მთის თითქმის ყველა კუთხე მოიარა, დაწყებული აჭარის მთებიდან, ვიდრე ფშავ-ხევსურეთამდე და უამრავი ხალხური მასალა შეკრიბა. მომავალმა კომპოზიტორმა ზედმიწევნით შეისწავლა ყოველი კუთხის მუსიკალური დიალექტი. იმ პერიოდში ქართული ხალხური სიმღერა მისთვის თეორიული კვლევა-ძიების საგანიც იყო. მის ფოლკლორისტულ ნაშრომებში მოცემულია ხალხური სიმღერების მეტად საინტერესო ანალიზი.

შ. მშველიძის დამოკიდებულება ტრადიციული მუსიკის მიმართ მის მთელ შემოქმედებაში ჩანს, თუმცა, გამორჩეული ამ მხრივ საგუდო მუსიკაა, რომელშიც ქართული ხალხური სიმღერების ეპიკურ-ვაჟკაცური ხასიათი ასევე ხალხური მუსიკალური ენის კანონზომიერებებითაა გადმოცემული.

ქართულმა მუსიკალურმა ფოლკლორმა გადამწყვეტი როლი შეასრულა მშველიძისეული საგუნდო ფაქტურის ჩამოყალიბებაში. ოპერების მუსიკალურ ენაში სინთეზირებულია ქართლ-კახური ხალხური მუსიკისათვის დამახასიათებელი დეკლამაციური და სასიმღერო საწყისები. გარდა ამისა, სოლო პარტიებში კომპოზიტორი, ზ. ფაღიაშვილის კვადრაკვად, ახდენს მაგ. ფშაური და მეგრული, ასევე, გურული და კახური ფოლკლორის ელემენტების შერწყმას. ქართული მუსიკალური სტილის ეროვნული სპეციფიკა დაცულია მშველიძის სოლო სიმღერებშიც. ქალაქური მუსიკალური ფოლკლორის გაფლენას, რაც დამახასიათებელი იყო მისი თანამედროვე კომპოზიტორების შემოქმედებისათვის, კომპოზიტორმა დაუპირისპირა წმინდა ხალხური სტილის სასიმღერო ჟანრი და შექმნა კლასიკური სიმღერები ხალხურ სტილში, რაზეც მათი სახელწოდებებიც მეტყველებს: „ოროველა“, „თუშის ქალები“, „სვანური ნანა“, „ხევსურული ნანა“ და სხვა.

შ. მშველიძემ ქართული პროფესიული მუსიკა პირველმა აზიარა მთის ფოლკლორს. გამორჩეული ადგილი უჭირავს, ამ მხრივ, სიმფონიურ პოემას „ზვიადური“, 1940 წელს შექმნილ მის პირველ მსხვილ და საუკეთესო სიმფონიურ ქმნილებას, რომელიც მთლიანად ხალხურ მოდალობას ემყარება. ამ პარტიტურაში ვაჟა-ფშაველას პოეზიის ეპიკურ-ვაჟკაცური სულის გადმოსაცემად კომპოზიტორი

ორიგინალურად გარდასახავს ქართული მთის ფოლკლორის მუსიკალური ენის კანონზომიერებებს.

ხალხური სიმღერის მელოდიური, ჰარმონიული, მეტრ-რიტმული თუ ფაქტურული თავისებურებები ბუნებრივად სინთეზირებული ევროპულ მუსიკალურ ფორმასთან, რაც მშველიძის სიმფონიურ პოემას ქართული მუსიკის უნიკალურ ნიმუშად აქცევს.

მისთვის განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა არქაული ფშაური სიმღერა ორიგინალური ბგერათრიგით, რომელიც შუა საუკუნეების კილოებიდან ფრიგიულს უახლოვდება. სწორედ ეს ბგერათრიგი ქდერს „ზვიადურში“ – დაბალი II და მაღალი III-VI საფეხურებით – რომელიც შ. მშველიძემ პროფესიულ მუსიკაში „ფშაური კილოს“ სახელით დაამკვიდრა.

ამ პოემაში ხალხური სიმღერის მელოდიური, ჰარმონიული, მეტრ-რიტმული თუ ფაქტურული თავისებურებები ბუნებრივად სინთეზირებული ევროპულ მუსიკალურ ფორმასთან, რაც კომპოზიტორის ქმნილებას ქართული მუსიკის უნიკალურ ნიმუშად აქცევს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია შ. მშველიძის ხალხურ მასალასთან მუშაობის მეთოდი, რომელსაც ბელა ბარტოკი „პროფესიულ მუსიკაში გლეხური მუსიკის ატმოსფეროს გადმოცემას“ უწოდებს – კომპოზიტორი, როგორც წესი, არ მიმართავს ციტირებას, არამედ ხალხური ინტონაციების ახალი კომბინაციებით საკუთარ მუსიკალურ მასალას ქმნის. ფშაური სიმღერის მარტივი, შეზღუდული დიაპაზონის მელოდიკას იგი კახური სიმღერისათვის დამახასიათებელი იმპროვიზაციული მანერით ავითარებს და პროფესიულ მუსიკაში ხალხურობის ილუზიას ქმნის.

აღმოსავლეთის მთის ინტონაციებითა და რიტმებით კომპოზიტორმა მნიშვნელოვანწილად გაამდიდრა და გააფართოვა ქართული პროფესიული მუსიკის „ლექსიკონი“.

შ. მშველიძის საექსპედიციო ჩანაწერების ნაწილი დაცულია კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების ლაბორატორიაში, ნაწილი კი, რომელიც ცვილის ლიღვაკებზე იყო ჩაწერილი, გადატანილია ციფრულ მატარებლებზე და განთავსებულია კომპაქტდისკების კრებულში „ხმები წარსულიდან“, რომელიც კონსერვატორიის ტრადი-


ციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა გამოსცა.

საბედნიეროდ, ეს უძველესი ჩანაწერები უკვე არაერთი თანამედროვე ქართული ფოლკლორული ანსამბლის რეპერტუარს ამდიდრებს.

მოამზადა მაკა ხარბიანმა კუკური ჭოხონელიძის გახსენება

ქართული სიმღერა-საგალობლის მოჭირნახულე

2014 წლის მარტში ღვაწლმოსილი ქართველი ეთნომუსიკოლოგის, ათწლეულების მანძილზე კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კათედრის გამგის, კუკური ჭოხონელიძის გარდაცვალებიდან 10 წელიწადი შესრულდა. გვინდა მადლიერებით გავისხენოთ ბატონი კუკური და გთავაზობთ მისი გაზრდილი მრავალრიცხოვანი სტუდენტებიდან ერთ-ერთის – მარიკა ოსიტაშვილის წერილს, რომელიც მან თავისი მასწავლებლის იუბილეს მიუძღვნა.



კუკური ჭოხონელიძე

კუკური ჭოხონელიძე მისი ყოველი მოსწავლის ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო. მე არ შემიძლია მას ვუწოდო მხოლოდ პედაგოგი, მხოლოდ მასწავლებელი, უფროსი მეგობარი და მრჩეველი. კუკური ჭოხონელიძე რაღაც სხვა, ნათელი მოვლენა იყო თითოეული ჩვენგანისათვის. მან სხვანაირად გვაგრძნობინა

საქართველო და ყველაფერი ქართული, გაამძაფრა ჩვენში „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“ და გვაზიარა იმ საოცარ სამყაროს, რომელსაც ქართული სიმღერა-საგალობელი ჰქვია.

გასაოცარია ბატონი კუკურის აზროვნების სიღრმე, დიაპაზონი და არაორდინალურობა. განსაკუთრებით მაკვირვებდა ის, თუ როგორ ასწრებდა ჩემთვის ასეთი ახლობელი, მისაწვდომი და შინაური ყველაფერზე ფიქრს. არ დარჩენილა ქართული ხალხური სიმღერის ისტორიისა და თეორიის საკვანძო საკითხი, რომელზეც არა თუ არ ეფიქროს, არამედ ძალზე ორიგინალური, მართებული მოსაზრება არ ჰქონდეს გამოთქმული. არანაკლებ მაკვირვებდა ის ფაქტიც, რომ მისთვის სრულიად უცხო იყო ყოველგვარი ამბიციაცია, პატივმოყვარეობა. ბატონი კუკური ყოველთვის ჩრდილში იდგა და ისე აკეთებდა, ისე ხელმძღვანელობდა საერთო საქმეს, ეროვნულ საქმეს. მან მთელი თავისი ენერჯია, მეცნიერული ნიჭი, აზროვნება თავისი მოწაფეებისაკენ, თავისი მეგობრებისაკენ მიმართა. სწორედ ჩვენთან ურთიერთობაში წარმოჩინდა ბატონი კუკური, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი. ამის მიუხედავად, ბატონი კუკური ვერ იტანდა ქებას, საკუთარ თავზე ლაპარაკს, არასოდეს გვაძლევდა ნებას, ხმამაღლა გამოგვეთქვა ჩვენი უზომო მადლიერება მის მიმართ. ასეთი თვისებების მატარებელი შეიძლება იყოს მხოლოდ ძალიან კეთილშობილი და დიდბუნებოვანი ადამიანი. ქართველი კაცის ბუნების ეს შტრიხი შესანიშნავად იკითხება თვით ქართულ ხალხურ სიმღერა-საგალობელში, სადაც დომინირებს „ჩვენ“ და არა „მე“. სამხმიან სიმღერას ქმნის სამი ხმა, სამი ადამიანი, ხოლო თითოეული მათგანის ინდივიდუალური მონაცემები, იმპროვიზაციული ნიჭი ვლინდება საერთო საქმის ქმნალობაში, ერთი მხატვრული სახის შექმნაში. იგივეს ვხვდებით საგალობელში. ეს საოცარი ფენომენი, მკაფიოდ ამოტვიფრული ქართულ გენეტიკურ კოდში, ბატონმა კუკურიმ ცხოვრების წესად გაიხადა. მისთვის ყოველთვის მთავარი იყო „ჩვენ“ და არა „მე“. ამიტომაც ყველა მისი საინტერესო იდეა თუ მოსაზრება მისი მოსწავლეების სხვადასხვა ნაშრომში განსხეულდა.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ქართული ხალხური მუსიკალური

შემოქმედების კათედრას ბატონი კუკური 1976 წელს ჩაუდგა სათავეში. ამ დროიდან მოყოლებული, მუსიკალური ფოლკლორის განყოფილების არცერთი ღირსეული, მოაზროვნე, საინტერესო სტუდენტი არ დარჩენილა მისი ყურადღების მიღმა, ყველა დააკვალიანა, მრავალი მათგანი დატოვა კათედრაზე. . . ასე თანდათანობით, ჩვენს თვალწინ, ბატონმა კუკურიმ საშვილიშვილო საქმე განახორციელა – შექმნა ქართული მუსიკალურ-ფოლკლორული სკოლა.

ბატონი კუკურისთვის, როგორც ჭეშმარიტი ქართველი კაცისათვის, ოჯახის კულტი უპირველესი იყო. ის თავდადებული მეუღლე, მამა და ბაბუა გახლდათ.

იმედია, კუკური ჭოხონელიძის მიერ დათესილი სიკეთე მის მეცნიერულ ნაღვაწთან ერთად, კიდევ მრავალ ახალგაზრდას დაეხმარება, იყოს კარგი ქართველი და უფრო ნათლად წარმოაჩინოს უმშვენიერესი ქართული ხალხური სიმღერა-საგალობლის სიდიადე.

მარია ოსიტაშვილი

*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
გაზეთი „ლიტერატურული
საქართველო“, 2004 წ. №16*


უცხოური მრავალხმიანობა

ტრალალერო – გენუის პოლიფონია

ტრალალერო ხალხური პოლიფონიის სახეობაა, რომელიც ჩრდილოეთ იტალიაში, კერძოდ, ლიგურიის რეგიონშია გავრცელებული. ის, ტრადიციულად, მამაკაცთა მიერ სრულდება, თუმცა, თანამედროვე ეპოქაში ქალთა შესრულებითაც გვხვდება. სახელწოდება მომდინარეობს მასში გამოყენებული არალექსიკური ვოკალიზაციიდან: ტრა-ლა-ლა.

1950-იან წლებში ტრალალერო თითქმის „გადაშენდა“, თუმცა, ამერიკელმა ეთნომუსიკოლოგებმა ალან ლომაქსმა და დიეგო კარპიტელამ მოახერხეს მისი ჩაწერა. მოგვიანებით ლომაქსმა ეს ჩანაწერები თავისი ხანგრძლივი და მრავალსაფეხურიანი კარიერის მანძილზე ერთ-ერთ გამორჩეულ ნაშრომად აღიარა. მე-

20 საუკუნის შუაწლებში ამ ტრადიციის გაცოცხლებაზე მუშაობდა ედვარდ ნეილიც.




20-იანი წლების „ტრალალეროს“ ჯგუფი

ტრალალეროს ჯგუფი აერთიანებს ტენორს, ბარიტონს და ბანს, რომელთაც აკომპანემენტს უკეთებს კონტრალტო და გიტარის (chitarra) ჟღერადობის იმიტატორი მომღერალი. ტრადიციულ შემადგენლობაში 9 მომღერალია: თითო „გიტარა“, ტენორი, ბარიტონი, კონტრალტო და 5 ბანი.

ჯგუფური ჰარმონიული მღერა ლიგურიაში ისტორიულად ასოცირდება მთის სოფლებთან, სადაც ორი ხმა (ძირითადად – ტენორი და ბარიტონი) მღეროდა ბანის ფონზე. ტრადიციული სიმღერების რეპერტუარი დროთა განმავლობაში ვითარდებოდა და საპორტო ქალაქის – გენუის გემბანებამდეც მიადწია. სწორედ აქ, საპორტო გემბანებზე ჩამოყალიბდა ტრალალეროს სტილი. მას გემის მტვირთავეები მღეროდნენ, რომლებიც ლიგურიის მთებიდან სამუშაოს საძებნელად ჩამოვიდნენ გენუაში და თან თავისი სიმღერები ჩამოიტანეს. მოგვიანებით, ტენორისა და ბარიტონის პარტიას გიტარის იმიტაცია დაემატა, როგორც თანხლება, მამაკაცის კონტრალტო კი, სავარაუდოდ, ნასესხებია ქალაქის საეკლესიო გუნდიდან, რომელშიც მაღალ ხმას კასტრატები ასრულებდნენ.

ამჟამად იტალიელებს ხალხური მუსიკის ხსენებისთანავე გენუის ტრალალერო ავონდებათ. საოცარია, რომ ადამიანების უმრავლესობას ამ დროს მხოლოდ ერთი ჯგუფის მიერ შესრულებული ერთი სიმღერა ახსენდება, რომელიც ლიგ-

გო კარპიტელამ და აღან ლომაქსმა ჩაწერეს 1954 წელს. როგორც ჩანს, სმენითი შთაბეჭდილება იმდენად უჩვეულოა, რომ ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია ეს სიმღერა, არასოდეს ავიწყდება.



გენუის „ტრალალორო“

ტრალალოროს ტრადიცია უნიკალურია იმით, რომ ტენორის, ბარიტონისა და ბანის ჩვეულებრივი შემადგენლობა გაძლიერებულია მამაკაცის კონტრალტოსა და გიტარის იმიტატორის პარტიებით. უჩვეულოა რეპერტუარის მოცულობაც, რომელიც მხოლოდ 60-მდე სიმღერას აერთიანებს და გავრცელების არეალიც, რომელიც იტალიის ყველაზე პატარა რეგიონის – ლიგურიის საკმაოდ პატარა ქალაქ გენუას მოიცავს.

ტრალალოროს მომღერლები ცენტრალური ტონის ირგვლივ ერთგვარ კლასტერს ქმნიან, რაც შეესაბამება მათ მიერ სიმღერის დროს დგომის პოზიციას (დგანან წრიულად ან სხედან სუფრის გარშემო).

ტრალალოროს რეპერტუარიდან „ნამდვილი“ მელოდია სულ სამოცამდეა. მათი უმრავლესობა ანონიმურია, ხანგრძლივობა – დაახლოებით 3წუთი. დანარჩენი სიმღერები კი მუსიკოსების – კონსერვატორიის ექს-სტუდენტის, ბრუსკეტინის, ორლანისტ დოდეროსა და პიანისტ სანტონის მიერაა შექმნილი.

ტრალალოროს სიმღერები შინაარსით სმის ტრადიციას უკავშირდება, ან ბედნიერ ისტორიებს მოგვითხრობს. სოფლური ყოფა და ზღვის თემატიკა თითქმის გამჭრალია.

ტრალალოროს მომღერალთა ჯგუფის სასიმღერო პრაქტიკამ უმაღლეს საფეხურს მიაღწია მეოცე საუკუნის დასა-

წყისში, როცა გენუის ზღვისპირა ბარეზში დაახლოებით ასამდე ასეთი ჯგუფი მღეროდა. მათ შემადგენლობაში სრულიად სხვადასხვა პროფესიის ადამიანები იყვნენ, მათ შორის – მცხოვრებლები და მამაკაცი ექთნებიც კი. 1950-იანი წლებისთვის, ტრალალორომ მნიშვნელოვნად დაკარგა აქტუალობა, რთული აღმოჩნდა მისი შესრულება და შენარჩუნება. ამისთვის საჭირო იყო ერთდროულად ძველი სტანდარტების შენარჩუნებაც და ახალი მომღერლების აღზრდაც. ტრალალოროს რეპერტუარისა და სტილისტური მოდელის რენესანსი მხოლოდ მე-20 საუკუნის გვიან 60-იან წლებში მოხდა.

საბედნიეროდ, ამჟამად იტალიაში ტრალალოროს შემსრულებელი ჯგუფები მრავლადაა, რაც მთელ მსოფლიოში ხალხური მუსიკალური ტრადიციების შენარჩუნების ტენდენციის აქტუალობის დასტურია.

მომზადდა მაკა ხარძიანმა

ერთი ქართული ფოლკლორული ანსამბლი

„სახიობა“

ანსამბლი „სახიობა“ მსმენელის წინაშე პირველად 2006 წლის 10 ივლისს წარსდგა. მისი ხელმძღვანელია ეთნომუსიკოლოგი, „ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის“ დამაარსებელი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პედაგოგი, თბილისის მამა დავით გარეჯელის ტაძრის რეგენტი მალხაზ ერქვანიძე.



„სახიობას“ ბოლო სოლო კონცერტი

ანსამბლის შექმნის იდეა თბილისის სასულიერო სემინარია-აკადემიის სტუდენტებს შორის წარმოიშვა. მათ ჩამოაყალიბეს სემინარია-აკადემიის გუნდი, რომელმაც სულ ერთი წელი იარსება და საპატრიარქოსა და სემინარია-აკადემიის ფარგლებს ვერ გასცდა, თუმცა მაშინდელი რექტორის, მიტროპოლიტ თეოდორე ჭუაძის დახმარებამ სტუდენტებში ენთუზიაზმი გააღვივა. აღსანიშნავია, აგრეთვე, ქალბატონ ლია სალავიას ღვაწლი, რომელთანაც ახლანდელი „სახიობას“ წევრების უმეტესი ნაწილი საეკლესიო გალობას დაეუფლა.

მაღე სტუდენტებს შეუერთდა მგალობელთა გუნდები კლდისუბნის წმინდა გიორგის ტაძრიდან და ლურჯი მონასტრიდან, ასევე – სტუდენტები თბილისის სამხატვრო აკადემიიდან და რამდენიმე მოწადინებული ახალგაზრდა. იყო პერიოდი, როცა გუნდი 40 კაცს – სამ შემოქმედებით ჯგუფს აერთიანებდა: სასულიერო სემინარია-აკადემიის (ხელ-ლი რეზო შანიძე), კლდისუბნის წმ. გიორგის ტაძრისა (ხელ-ლი გიორგი გვიმრაძე) და სამხატვრო აკადემიის გუნდებს (ხელ-ლი რეზო შაშვიაშვილი). ასეთი შემადგენლობით იგი 2004 წელს ეთნოგრაფიულ მუზეუმში ახლადგახსნილ არტ-გენის ფესტივალზე წარსდგა მსმენელის წინაშე. თუმცა, ვერც ამ გაერთიანებამ იარსება დიდხანს, რის შემდეგაც 20 კაციან გუნდს მალხაზ ექვანიძე ოფიციალურად ჩაუდგა სათავეში, ხოლო თანახელმძღვანელად შეირჩა რეზო შანიძე, რომელიც ტექნიკური საკითხების მოგვარებაში ესმარებოდა ხელმძღვანელს.

ამჟამად ანსამბლში 14 წევრია და მას „სახიობა“ ჰქვია. „სახიობა“ ძველქართული სიტყვაა და პირდაპირი გაგებით მუსიკას ნიშნავს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „სახიობა – ესე არს მუსიკა მწყობრი ძალთა და საკრავთან, და ჳმონება ტკბილი გალობათა თუ სოფლიერთა სიმღერათა. ესე არს ჳმა ტკბილობაჲ. სახიობა – ჳმა ტკბილსა ჰქვიან სამღერელსა“ („სიტყვის კონა“). 2006 წლის 17 იანვარს, ანსამბლის ერთ-ერთ რეპეტიციაზე, სწორედ „სახიობა“ დაერქვა ახლად ჩამოყალიბებულ ფოლკლორულ ანსამბლს, რადგან მისი წევრების აზრით, ეს ძველქართული სიტყვა კარგად გამოხატავდა მათ შემოქმედებით პრინციპებსა და მიზანს.

„სახიობა“ ანჩისხატელთა გამოცდილებასა და შემოქმედებით პრინციპებს ეყრდნობა და ცდილობს, ღრმად შეაღწიოს ტრადიციული სიმღერა-გალობის წიაღში და თავისი სიტყვა თქვას ხალხური სიმღერა-საგალობლების გაცოცხლებასა და ძველი ქართული ბგერათწყობის აღდგენის საქმეში. მისი მიზანია: შუასაუკუნეების ქართული გალობის აღდგენა და პოპულარიზაცია, ქართული ხალხური მუსიკის ავთენტიკური შემსრულებლობის პროპაგანდა, ქართული საგალობლების ხელნაწერების რედაქტირება და სანოტო კრებულების გამოცემა აუდიო დისკების თანხლებით, დღევანდელ საქართველოში მცხოვრებ დიდოსტატ მომღერალ-ლოტბართა შემოქმედებითი გამოცდილების გაზიარება და ფართო მსმენელისათვის მათი გაცნობა, ექსპედიციების ჩატარება სხვადასხვა კუთხის ფოლკლორის აღდგენა-გაცოცხლების მიზნით და სხვ.



„სახიობას“ ბოლო სოლო კონცერტი

ანსამბლის ამჟამინდელი წევრები არიან: მალხაზ ერქვანიძე (ხელმძღვანელი, ეთნომუსიკოლოგი), სოსო კოპალეიშვილი (თეოლოგი, საეკლესიო მუსიკათმცოდნეობის ბაკალავრი), დავით აბრამიშვილი (საეკლესიო მუსიკისმცოდნეობის ბაკალავრი), თორნიკე კანდელაკი (საეკლესიო მუსიკისმცოდნეობის ბაკალავრი), ბექა კოვზიაშვილი (საეკლესიო მუსიკისმცოდნეობის ბაკალავრი), დავით ჯამრიშვილი (მხატვარ-რესტავრატორი), გიორგი გვიმრაძე (პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი, ღვთისმეტყველების მაგისტრი), დავით შუკაკიძე (ეკონომისტი), დავით ბათირაშვილი (თეოლოგი), ვლადიმერ შონია (ღვთისმეტყველების მაგისტრი), გიორგი ძაგანიშვილი (ეკონომისტი), ვახტანგ ცეცხლაძე (საეკ-

ლესიო მუსიკისმცოდნეობის ბაკალავრი), ბექა კემულარია (კულტურის მენეჯერი), თორნიკე სხიერელი (საეკლესიო მუსიკისმცოდნეობის ბაკალავრი).

„სახიობას“ წევრები თავისი საქმის სიყვარულით და მისადმი თავდადებით გამოირჩევიან და უანგაროდ ემსახურებიან ქართულ საქმეს. მათ გულმოდგინებაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ „სახიობას“ რეპერტუარში დაახლოებით 120 სიმღერა და „ქართული ტრადიციული გალობის“ კრებულებში შეტანილი საგალობლების დიდი ნაწილი შედის. 8 წლის განმავლობაში გამოიცა გალობის ორი და სიმღერის ხუთი CD ალბომი, მათ შორის – 2 სტუდიური და 3 საკონცერტო ჩანაწერი. ყოველწლიურად, როგორც წესი, ანსამბლი საანგარიშო კონცერტს მართავს და მსმენელს ყოველ ჯერზე განახლებული რეპერტუარს სთავაზობს. მას ხშირად იწვევენ კონცერტებისა და მასტერკლასების ჩასატარებლად, როგორც ევროპის, ისე აშშ-ს სხვადასხვა ქალაქების უნივერსიტეტებსა თუ საკონცერტო დარბაზებში; მონაწილეობს საერთაშორისო ფესტივალებში, სიმპოზიუმებში, საიუბილეო საღამოებში, საქველმოქმედო ღონისძიებებში, აწვობს სემინარებს, სიმღერა-გალობის შემეცნებით კონცერტებს.

ანსამბლის რეპერტუარის ძირითადი წყაროა უძველესი საარქივო ჩანაწერები კონსერვატორიის, ფოლკლორის ცენტრის, რადიო-ტელევიზიის ოქროს ფონდიდან, საგალობლები ხელნაწერთა ეროვნული ცენტრიდან; ასევე, მალხაზ ერქვანიძისა და ანსამბლის სხვა წევრთა საექსპედიციო ჩანაწერები.

ანსამბლი 2014 წლის ბოლოს გამართავს ტრადიციული საანგარიშო კონცერტს სრულიად ახალი რეპერტუარით, რომელზეც იგი უკვე მუშაობს. ამავე პერიოდში „სახიობა“ სხვა პროექტებთან ერთად, ცნობილი იმერელი მომღერლისა და ლოტბარის, ბენია მიქაძის 100 წლისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოსაც გვეგზავს.

ტმესც-ის სახელით ანსამბლ „სახიობას“ გუსურვებთ მომავალ წარმატებებს!


ქართული სიმღერის მოამბეები

კავსაძეები

კავსაძეების გვარმა ქართულ კულტურას ბევრი სახელგანთქმული ფიგურა აღუზარდა. შეიძლება ითქვას, რომ ამდენი სახელოვანი მუსიკოსი – თანაც უწყვეტი ტრადიციით, არცერთ საგვარეულოს არ ჰყოლია.

გრიგოლ კავსაძე – ქართლში, კასპის რაიონის სოფელ სოფელში მოღვაწე მღვდელი, კარგი მგალობელი და მომღერალი ყოფილა. გრიგოლის 7 შვილიდან ოჯახის მუსიკალური ტრადიციები ჯერ ძმებმა – **სანდრომ და ლონგინოზმა** გააგრძელეს, შემდეგ კი მათმა შთამომავლებმა – **ანდრომ, მიხეილმა, გიგუშამ, დავითმა (დათაშკამ) და ნიკოლოზმა**. კავსაძეების გვარის წარმომადგენელი გახლდათ ცნობილი დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი **ანზორ გიგუშას ძე კავსაძეც** (დაბ. 1930); ვოკალისტის (ტენორი) პროფესია აირჩია **იმერ დავითის ძე კავსაძემ** (დაბ. 1937); განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით გამოირჩევა ცნობილი მსახიობი **კახი დავითის ძე კავსაძეც** (დაბ. 1935).

ალექსანდრე (სანდრო) კავსაძე (1874-1939) – ქართული საგუნდო ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა. კერძოდ, მისი დამსახურებაა ქართულ-კახური სიმღერის საუკეთესო ნიმუშების შეკრება, აღდგენა, სცენაზე დამკვიდრება და პოპულარიზაცია.



სანდრო კავსაძე

სხვადასხვა დროს სანდრო კავსაძემ თბილისში, გორში, ფოთში, ტყიბულში, ჭიათურაში, საჩხერეში, ზესტაფონსა

და ქუთაისში საკუთარი გუნდები ჩამოაყალიბა.

1907-1911 წ.წ. ჩანაწერებმა შემოგვინახა სანდრო კავსაძის დიდი დიაპაზონის, იშვიათი სილამაზის, ქართლური კოლორიტის მქონე ხმა და მისი გუნდის მიერ შესრულებული რამდენიმე სიმღერა და საგალობელი.

მიხეილ კავსაძე (1880-1951), ლონგინოზ კავსაძის უფროსი ვაჟიშვილი, სიმღერა-გალობას ბავშვობიდანვე ეზიარა. გორის საულიერო სასწავლებლის შემდეგ იგი სწავლობდა თბილისის ქართულ გიმნაზიაში, სადაც მისი პედაგოგები ზაქარია ჩხიკვაძე და ია კარგარეთელი ყოფილან. დასავლურქართული სიმღერები მიხეილს ფილიმონ ქორიძისაგან შეუსწავლია.



მიხეილ კავსაძე

ილია ჭავჭავაძის დახმარებით მან თბილისში *ქართული თეატრის საამხანაგო გუნდი* ჩამოაყალიბა, იმავდროულად, ბიძამისის – სანდრო კავსაძის გუნდში მღეროდა.

20 წლის მიხეილ კავსაძემ საკუთარი, 15 კაციანი გუნდი შექმნა, რომელიც საქართველოს რეგიონებში მოგზაურობდა, ლექცია-კონცერტებს ატარებდა და დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

მიხეილ კავსაძის გუნდში მღეროდნენ ივანე ჯავახიშვილი და მისი ძმა დავითი. საინტერესოა, რომ ივანე ჯავახიშვილის თხოვნით, ზაქარია ფალიაშვილს ფონოგრაფზე ჩაუწერია კავსაძეების სიმღერები.

1910 წ. მიხეილ კავსაძე ერთდროულად სამ გუნდს უძღვებოდა: მუშათა, გლეხთა და მოსამსახურეთა. ისინი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ქალაქების, დაბებისა და სოფლების ხშირი სტუმრები იყვნენ. 1914 წლის საარქივო

ჩანაწერებმა შემოგვინახა ამ გუნდების მიერ შესრულებული რამდენიმე ნიმუში.

მნიშვნელოვანია, რომ მიხეილ კავსაძე თავისი გვართ და აგრეთვე, *ხოვლელობა* და სხვა ფსევდონიმებით აქვეყნებდა წერილებს ქართულ პერიოდიკაში ტრადიციული ხალხური სიმღერისა და საეკლესიო გალობის ამა თუ იმ საკითხზე.

არაჩვეულებრივად ცეკვავდა მიხეილის ძმა **ანდრო კავსაძე**, რომელიც სახელმწიფო ანსამბლების მოცეკვავეთა ჯგუფის წევრიც ყოფილა. მეორე ძმა – **ნიკოლოზ (კოლა) კავსაძე** გუნდში ხშირად დამწვების პარტიას ასრულებდა და ქართლსა და კახეთში გუნდებსაც ხელმძღვანელობდა. იგი დიდი ხნის მანძილზე ბორჯომის კულტურის სახლის დირექტორიც ყოფილა. სხვადასხვა დროს ნიკოლოზ კავსაძე ბორჯომის, ქარელისა და თბილისის მომღერალთა გუნდების ლობზარიც იყო.

სანდრო კავსაძის გუნდში ერთხანს მღეროდა **ვლადიმერ (ლადო) ლონგინოზის ძე კავსაძეც** (1886-1953) – შემდგომში რესპუბლიკის სახალხო არტისტი, ოპერის მომღერალი (ლირიკული ტენორი).

დავით (დათაშკა) კავსაძე (1907-1952) – უკვე 14 წლის ასაკიდან ედგა სათავეში სკოლის გუნდს. იგი 1929 წლიდან თბილისის მეორე სამუსიკო სასწავლებლის, სამ წელიწადში კი – კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. როგორც ჩანს, საგუნდო საქმის სიყვარულმა თავისი გაიტანა და დავითი საღირიურო ფაკულტეტზე გადავიდა.



დავით კავსაძე

ამავე წლებში იგი თავადაც ხელმძღვანელობდა გუნდებს და მამის გუნდებ-

შიც მღეროდა. 1937-39 წწ. მამის ავადმყოფობის გამო, დავითს მოუწია აღმოსავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდის ხელმძღვანელობა. 1939 წ. აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიული გუნდები გაერთიანდნენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლად. სამხატვრო ხელმძღვანელად გრიგოლ კოკლაძე, ლობჯარებად – კირილე პაჭკორია და დათაშკა კავსაძე, ქორეოგრაფად – ჯანო ბაგრატიონი, საკრავიერი ჯგუფის ხელმძღვანელად კი – ავქსენტი მეგრელიძე დანიშნეს.

1941 წ. 34 წლის ახალგაზრდა დათაშკა ომში გაიწვიეს. ქერხში იგი ტყვედ ჩავარდა, სადაც მოახერხა და ტყვეების გუნდი ჩამოაყალიბა. ცნობილია, რომ ამ გუნდის რეპერტუარი საფრანგეთში ჩაიწერეს, თუმცა ჩანაწერები ჯერჯერობით არ ჩანს.

ანზორ კავსაძეს დედაც მომღერალი ჰყავდა. 7 წლისას უკვე ნოტები და ფორტეპიანოზე დაკვრა სცოდნია. საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის სტუდენტი თავის მასწავლებელთან – გიორგი ხახანაშვილთან ერთად საქართველოს რადიოს კაპელის ხელმძღვანელი იყო.



ანზორ კავსაძე

1959 წ. ანზორ კავსაძე საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარ დირიჟორად აიყვანეს. მისი ხელმძღვანელობის დროს იქ მღეროდნენ: ვანო მჭედლიშვილი, შალვა კოვხირიძე, ჰამლეტ გონაშვილი, ჯემალ ცხვედიანი, მიხეილ შავიშვილი. . . სწორედ ამ პერიოდში შეასრულეს ილია ზაქაიძემ და როსტომ საგინაშვილმა ლეგენდარული *ჩაკრულო*, რომელიც კოსმოსში გაუშვეს.

ანზორი 15 წელი ხელმძღვანელობდა გურჯაანის კულტურის სახლის ანსამბლს, 18 წელი – ზუგდიდის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს. მისი საგასტროლო მოგზაურობების რუკაზე 24 ქვეყანაა (საბჭოთა კავშირის გარდა).

ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრს ანზორ კავსაძის გუნდის ჩანაწერები ცალკე დისკად აქვს გამოცემული.

ამგვარად, კავსაძეების გვარის ლეგენდარულმა წარმომადგენლებმა ეროვნული კულტურის დაუღალავ სამსახურში გალიეს ცხოვრება და გამორჩეული ადგილიც დაიმკვიდრეს ქართველ საზოგადო მოღვაწეთა შორის.

ნინო კალანდაძე-მახარაძე

*მუსიკოლოგიის დოქტორი,
ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული
პროფესორი*

**ერთი უცხოური ფოლკლორული
ანსამბლი**

**ჩუინის კულტურისა და
ხელოვნების დასი**



ჩუინის დასის უფროსი შემსრულებლები

ტაივანში *ამისის* ტომი განთქმულია სიმღერისა და ცეკვის ნიჭით. ისინი მღეროდნენ ხოლმე ყანაში და მთაში, შრომის პროცესში და დასვენების დროს; ცეკვავდნენ და მღეროდნენ ყველა ცხოვრებისეულ სიტუაციაში. თუმცა, მას შემდეგ, რაც ადამიანის შრომა მექანიზმმა ჩა-

ანაცვლა, მათი სასიმღერო ტრადიცია მკვეთრად შესუსტდა, ამის შედეგად კი ახალგაზრდა თაობამ წინაპრებისგან სიმღერების სწავლის შესაძლებლობა დაკარგა. ამისებრ სიმღერისა და ცეკვის აღორძინების მიზნით, 1997 წლის ივნისში ქალბატონმა კაო შუ-ჩუნამ შექმნა ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების დასი. ჯგუფის მიზანი იყო, გადაერჩინა ტომის უხუცესთა მიერ შენარჩუნებული ამისებრ ტრადიციული მუსიკა და ესწავლებინა ის ახალგაზრდა თაობისთვის. კვლევის საჭიროებიდან გამომდინარე, 2000 წელს გავიცანი ქინ კაო. ის და მისი ჯგუფი ჩემი სამეცნიერო კვლევის უზარმაზარი რესურსი გახდა, და კმაყოფილი ვარ, რომ შემიძლია მათ საკუთარი კულტურა სხვა კუთხიდან დავანახო.

ქინ კაოს ხელმძღვანელობით ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების დასი სხვადასხვა ასაკის 80-მდე წევრს ითვლის. წამყვანი მომღერლები უფროსი ასაკის არიან, რაც სასიმღერო უნარის ფლობის ხარისხით არის განპირობებული. მათი მკვიანა ხმების საშუალებით ძველი ტომობრივი ცხოვრება კვლავ ცოცხლდება. ადმინისტრაციის დახმარებით (ძირითადად, შუანის თაობა), ახალგაზრდები უფროსებისგან ბევრს სწავლობენ. ძირითადად, სწორედ ისინი ცეკვავენ სცენაზე.

გასულ წლებში ჩუ-ინის კულტურისა და ხელოვნების დასმა ამისებრ სიმღერები და ცეკვები მუსიკალური სპექტაკლების სახით წარმოადგინა. სპექტაკლები თითქმის ყოველ ორ წელიწადში იმართება. ისინი კონცერტებს მართავენ არა მარტო კუნძულზე, არამედ საზღვარგარეთაც, მაგალითად, აშშ-ში, ახალ ზელანდიაში, მექსიკაში და მალაიზიაში და უკვე სახელიც მოიხვეჭეს. გამოცემული აქვთ 2 კომპაქტური დისკი – 2001 და 2004 წლებში.

2011 წელს ქინ კაოსა და ჩემი 5 წლიანი შრომის შედეგად გამოიცა ნაშრომი „მგორავი ეპოქა – მალანის სამიწათმოქმედო სიმღერები“, რომელშიც შესულია ამისებრ ოდესღაც დაკარგული სამიწათმოქმედო სიმღერები. ნაშრომმა, რომელიც შესანიშნავ დოკუმენტურ წაყროს წარმოადგენს, „ოქროს მელოდიის პრიზი“ დაიმსახურა.

2013 წელს, ქინ კაოს დახმარებით გამოვეცით ალბომი „პოლიფონიის

ძიება“, რომელშიც შევიდა ამისებრ 9 სოფლის სიმღერები, იმ დროის საუკეთესო მომღერლების შესრულებით. ეს გაკეთდა მომავალში ამისებრ სხვადასხვა სასიმღერო სტილის შესწავლის მიზნით. ალბომში შესულია ასევე სამეცნიერო სტატიები, რომლებიც სიღრმისეულად გვაცნობს ამისებრ მუსიკას.



ჩუ-ინის დასის ახალგაზრდული ნაწილი

ყოველწლიური წარმოდგენებითა და ახალგაზრდა თაობისათვის უწყვეტი სწავლებით დასი ცდილობს, შეასრულოს თავისი მისია. ისინი ღმერთს ევედრებიან, რომ ამ ეთნიკური ჯგუფის უღამაზესმა პოლიფონიურმა მუსიკამ კვლავაც გააგრძელოს არსებობა, როგორც ეს მისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ხდებოდა.

ლუ იუ-სიუ

ტაიპეის სუიჩოუს უნივერსიტეტის ეთნომუსიკოლოგიის პროფესორი

აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი

1887 წელს თბილისში დაარსდა კავკასიის მეაბრეშუმეობის სადგური, ახალგაზრდა რუსი მეცნიერისა და ბუნებისმეტყველის ნიკოლაი შავროვის მიერ. შავროვი მეაბრეშუმეობის შესასწავლად რამდენიმე წლით საზღვარგარეთ იმყოფებოდა. ევროპული მივლინების განმავლობაში მიღებული ცოდნა და გამოცდილება, ისევე, როგორც მის მიერ ჩამოტანილი მნიშვნელოვანი კოლექციები, დაედო საფუძვლად საქართველოში აბრეშუმის მუზეუმისა და ბიბლიოთეკის დაარსებას.

კავკასიის სააბრეშუმო სადგურის მთავარი შენობის აღმშენებელი თბილისში მოღვაწე პოლონელი არქიტექტორი ალექსანდრე შიშკევიჩია. იგი XIX საუკუნის მეორე ნახევრის თბილისის არაერთი, არქიტექტურული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი და სტილისტურად მრავალფეროვანი საზოგადოებრივი თუ საცხოვრებელი დანიშნულების შენობის ავტორია. მათ შორისაა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია და რუსთაველის თეატრი.



აბრეშუმის მუზეუმი

მუზეუმში ინახება სხვადასხვა ჯიშის თუთის ჰერბარიუმები, მეთუთეობაში გამოყენებული ინვენტარი, პეპლების კოლექცია და ასევე თუთის ხისაგან დამზადებული საყოფაცხოვრებო ნივთები და მუსიკალური საკრავები: ფანდური, ჩონგური, ჭუნირი, რომლებსაც, როგორც ცნ-

ობილია, ხშირად აბრეშუმის სიმებს უკეთებდნენ.

მუზეუმში დაცულია აბრეშუმის პარკების დიდი კოლექცია, რომელიც შეიცავს 5 ათასზე მეტი ჯიშის ნიმუშს; ასევე, კუსტარული და ფაბრიკული წარმოების აბრეშუმის ძაფი, ქსოვილები; მცენარეული, ცხოველური, მინერალური და ქიმიური საღებავები სხვადასხვა ქვეყნიდან თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან.

მუზეუმში პერიოდულად ეწყობა გამოფენები, ტარდება სტაჟირების კურსები, ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დახმარებით ხდება აბრეშუმის პოპულარიზაცია.

ერთ-ერთი ასეთი საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს საქართველოს სასკოლო განათლების სისტემასთან მჭიდრო თანამშრომლობას. სკოლის მოსწავლეებს ასწავლიან, როგორ მოუარონ, გამოკვებონ და იზრუნონ აბრეშუმის ჭიებზე სახლის პირობებში. სამი თვის შემდეგ მათივე მიღებული აბრეშუმის პარკით მიდიან მუზეუმში და სწავლობენ პარკიდან ძაფის ამოხვევას, მის შეღებვას ბუნებრივი საღებავით და ბოლოს, რაიმე სამახსოვრო ნივთის დამზადებას.

1997-დან 2005 წლამდე მუზეუმმა უმასპინძლა მხატვრული ტექსტილისადმი მიძღვნილ ხუთ საერთაშორისო სიმპოზიუმს. მრავალწლიანი თანამშრომლობის შედეგად, ინფორმაცია მუზეუმის არსებობის და მნიშვნელოვნების შესახებ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გავრცელდა; აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმი გახდა ევროპის ტექსტილის ქსელის (ETN)-ის წევრი და ევროპული ტექსტილის გზის მთავარი მისამართი საქართველოში.

მუზეუმი თანამშრომლობს მხატვრებთან და თანამედროვე ხელოვნების სხვადასხვა სფეროში მომუშავე კუტაროებთან, იმართება გამოფენები, ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები.

2014 წლის 7 მაისს აბრეშუმის სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა ავსტრალიელი ვიზუალური არტისტის ფიონა დევისის გამოფენა “Blood on Silk” („სისხლი აბრეშუმზე“). აბრეშუმის მუზეუმისთვის ეს არის პირველი გამოფენა, რომელიც უკავშირდება აბრეშუმის უჩვეულო გამოყენების შესაძლებლობებს.

აბრეშუმისადმი მიძღვნილი მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი მუზეუმის

დანიშნულებაა აბრეშუმის წარმოებისა და გამოყენების მრავალფეროვანი შესაძლებლობების წარმოჩენა და პოპულარიზაცია.

აბრეშუმის მუზეუმის შესახებ იხ. www.silkmuseum.ge

ქართული სიმღერის უცხოელი შემსრულებლები

ტრიო „კავკასია“ ამერიკიდან

ტრიო „კავკასია“ 1994 წელს შეიქმნა ალან გასერის, სტუარტ გელზერისა და კარლ ლინიქის შემადგენლობით. სამივე მომღერალი ამერიკაში უკვე არსებული „ქართული ანსამბლის“ წევრი იყო, მაგრამ მათ გადაწყვიტეს, უფრო სერიოზულად შეესწავლათ ქართული ხალხური სიმღერა და ამისათვის საკუთარი ტრიო ჩამოაყალიბეს.



ტრიო „კავკასია“ თბილისში, 1995 წ. (გია ჩხატარაშვილის ფოტო).

არსებობის 20 წლის მანძილზე ტრიომ ბევრი იმოგზაურა საქართველოში ახალი სასიმღერო ნიმუშების შესწავლის მიზნით, უფრო უკეთ დაეუფლა ქართულ სიმღერის წყობასა და ჰანგს, ჩაწერა სამი

კომპაქტური დისკი, ჩაატარა არაერთი კონცერტები ჩრდილოეთ ამერიკის სხვადასხვა ქალაქებში.

2002 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის პირველ საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარმოდგენილ მოხსენებაში სტუარტ გელზერმა ერთგვარად შეაჯამა ტრიოს საქმიანობა, მათი მცდელობა, უკეთ ჩასწავლოდნენ ქართულ ჰანგსა და ჟღერადობას. მოხსენებამ როგორც ქართველ, ისე უცხოელ მკვლევრებს შორის დიდი კამათი გამოიწვია.

ქართული ხალხური სიმღერის პოპულარიზაციაში შეტანილი წვლილისთვის საქართველოს მთავრობამ ტრიოს წევრები დააჯილდოვა ვერცხლის მედელებით, ხოლო კარლ ლინიქი პრეზიდენტის ღირსების ორდენის კავალერია.

2014 წლის იანვარში ტრიო „კავკასია“ ჩაატარა თავის არსებობის 20 წლისთავისთვის მიძღვნილი კონცერტების სერია ნიუ იორკში, ვაშინგტონში, ფილადელფიაში, იელისა და პრინსტონის უნივერსიტეტებში.

ტრიო დიდ მადლობას უხდის ყველას წლების მანძილზე გაწეული დახმარებისთვის, განსაკუთრებით მათ პედაგოგებს, მკვლევრებსა და ლობჯარებს, ვისგანაც ბევრი რამ ისწავლეს.

ტრიო „კავკასიის“ შესახებ იხ. www.kavkasia.com

„ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ პოლონეთში

ამა წლის 23 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით „ანჩისხატის ტაძრის გუნდი“ მიწვეული გახლდათ პოლონეთში, სადაც ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო „სასულიერო მუსიკის ტრადიციულ ფესტივალში“ და ჩაატარა სოლო კონცერტები პოლონეთის სხვადასხვა ქალაქში. ვთავაზობთ ინტერვიუს ანსამბლის ერთ-ერთ წევრთან, ეთნომუსიკოლოგ დავით შულღიაშვილთან.

– ვინ მიგიწვიათ პოლონეთში და რა ღონისძიებებში იყო დაგეგმილი თქვენი მონაწილეობა?

– ანჩისხატის გუნდი პოლონეთში მიწვეული იყო ქალაქ ბიელსკო-ბიალაში, საკრალური მუსიკის ტრადიციულ ფესტივალზე, რომელიც წელს მეოთხედ ჩატარდა. მასში ჩვენი მონაწილეობის ორგანიზებაში დაგვეხმარა ლატვიური კონცერტების ორგანიზატორი ვლადიმერ რეშეტოვი, რომელსაც მანამდე ორჯერ ვყავდით მიწვეული რიგაში.



კონცერტი ბიელსკო-ბიალაში

– კიდევ რომელ ქალაქებში ჩაატარეთ კონცერტები?

– ბიელსკო-ბიალას ფესტივალის გარდა, ანჩისხატის გუნდის კონცერტი კიდევ ორ ქალაქში – კრაკოვსა და ჩესტოხოვაში დაიგეგმა. ამ ორი კონცერტის ორგანიზებაში პოლონეთში საქართველოს ელჩი ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი დაგვეხმარა, რომელმაც დაგვაკავშირა კრაკოვში ახლად დაარსებული ასოციაციის „ხიდი საქა-

რთველოსთან“ ხელმძღვანელთან – პშემისლავ ნოცუნთან. საქართველოზე შეყვარებული ეს ადამიანი გუნდის ყველა წევრისთვის ძვირფასი აღმოჩენა გახდა. დახმარება გაგვიწია ასევე კრაკოვში სასწავლებლად მყოფმა ქართველმა დირიჟორმა მირიან ხუხუნაიშვილმა.



კონცერტი კრაკოვში

მათი ძალისხმევით შედგა კონცერტი კრაკოვის წმ. კატარინეს ტაძარში, სადაც კონცერტის რეპერტუარი, რამდენიმე საგალობელთან ერთად, ძირითადად ქართული ხალხური სიმღერებისგან შედგებოდა. კონცერტი იოანა ჟებერს მიჰყავდა, რომელმაც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიარა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კურსი.

– როგორი იყო პუბლიკა და როგორ შეხვდნენ საქართველოდან ჩასულ გუნდს?

– როგორც ბიელსკო-ბიალაში, ისე კრაკოვში ჩვენს კონცერტებს დაახლოებით 700-მდე მსმენელი ჰყავდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონცერტი იმ დღეს დაემთხვა, როცა კრაკოვში დაბადებული პაპი – იოანე-პავლე II – კათოლიკური ეკლესიის მიერ წმინდანად იქნა შერაცხული და, ამასთან დაკავშირებით, ქალაქში მრავალი კულტურული ღონისძიება იყო პროგრამაში. მაგრამ, როგორც ჩანს, პოლონელთა ინტერესი ქართული კულტურის მიმართ იმდენად დიდია, რომ მსმენელი ჩვენს კონცერტს არ მოჰკლებია. ხაზი უნდა გავუსვა პოლონელი მსმენელის დიდ ინტერესს და ქართული ხალხური სიმღერის აღფრთოვანებულ შეფასებას მის მიერ.

– თუ დაინტერესდნენ თქვენი CD ალბომებით?

– რა თქმა უნდა, დაინტერესდნენ და შეიძინეს ჩვენი ახალდგამოცემული კომპაქტ-დისკი სახელწოდებით „ნადი“, რომელიც

გუნდის 25 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კონცერტისთვის გამოიცა.



კონცერტი ჩესტოხოვაში

– გიცნობდნენ თუ არა მანამდე პოლონეთში?

– ანჩისხატის გუნდისთვის ეს ვიზიტი პოლონეთში პირველი არ ყოფილა. 2002 წელს ჩვენ იაროსლავში გახლდით ფესტივალზე „სიმღერები ჩვენი ფესვებისა“ („Songs of Our Roots“).

– თუ შეხვედით ქართულ დიასპორას?

– ძირითადად კრაკოვში. იქ ყოფნისას მიგვიწვიეს ნატურალური ღვინის მარანში „კრაკო სლოუ ვაინს“ („Krako Slow Wines“), სადაც პოლონელ მასპინძლებთან ერთად კრაკოვში მცხოვრები ქართველი სტუდენტებიც იყვნენ შეკრებილნი. გემრიელი ღვინოებისა და კერძების დაგემოვნებასთან ერთად სიმღერებიც მრავლად ვთქვივით, რაშიც ბოლოს მასპინძლებიც სიამოვნებით ჩაერთნენ.

– არის თუ არა პოლონეთში ქართული ხალხური სიმღერების შემსრულებელი ფოლკლორული ანსამბლი?

– მირიან ხუხუნაიშვილის ხელმძღვანელობით კრაკოვში ჩამოყალიბდა ქართული ხალხური სიმღერების მოყვარულთა პატარა ჯგუფი. სწორედ მათთან ერთად ვმღეროდით იმ საღამოს ბოლოს.

– მასტერკლასები თუ გქონდათ?

– არა, ამჯერად ცალკე მასტერკლასები არ ჩატარებულა, თუმცა სამომავლოდ შეიძლება ამაზე ფიქრი, რადგან ინტერესი ქართული სიმღერისადმი მეტად დიდია პოლონეთში.

– როგორი იყო თქვენი რეპერტუარი და რა მოეწონა ყველაზე მეტად პოლონელ მსმენელს?

– ბიელსკო-ბიალაში გამართულ კონცერტზე ძირითად ნაწილს საგალობელები შეადგენდა, თუმცა 6 ხალხური სიმღერაც

შევასრულეთ, რამაც პუბლიკა ძალიან ნასიამოვნები დატოვა. კრაკოვსა და ჩესტოხოვაში რეპერტუარი მეტწილად ხალხურ სიმღერებისგან იყო შემდგარი.

უკვე მრავალი წელია, ანჩისხატის გუნდი კონცერტების დამაგვირგვინებელ ნომრად გუნდის მიერ აღდგენილ სხვადასხვა ნადურს სთავაზობს მსმენელს. პოლონეთში გამართული სამივე კონცერტი ნადურით დაგასრულეთ და, შეიძლება ითქვას, რომ მსმენელის განსაკუთრებული აღფრთოვანება სწორედ ამ საოცარმა ქმნილებამ გამოიწვია.



კონცერტი ჩესტოხოვაში

– სამომავლოდ თუ დაიგეგმა რამე?

– პოლონეთში ჩვენი ვიზიტით ჩვენი გუნდის უცხოეთში სამოგზაურო ისტორიაში გაჩენილი რამდენიმე წლიანი პაუზა „დაირღვა“. პოლონელი ხალხის ჩვენდამი უაღრესად კეთლგანწყობამ მეტად გვასიამოვნა და გაგვახარა. ეს სიხარული გააორმაგა სამომავლოდ მსგავსი ტურის მოწყობაზე მასპინძელთა შემოთავაზებამ.

– დიდი მადლობა, წარმატებებს გისურვებთ!

ინტერვიუ ჩაიწერა მაკა ხარძიანმა

სანთური

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში ინახება ერთი ძველი და მეტად ორიგინალური საკრავი, რომელიც დამთავალიერებულთა გამორჩეულ ყურადღებას იპყრობს. ესაა *სანთური*.

სანთური სიმებიანი საკრავია, რომლის ხმის გამოცემაც რამდენიმე ხერხით ხდება: სათითურებით, პლექტრით ან სიმებზე სპეციალური ხის ჯოხების (ჩაქუჩების) დარტყმით. უკრავენ როგორც დამჯდარ მდგომარეობაში, ასევე, სიარულის დროსაც. საკრავის ასმიანება, უმთავრესად დარტყმით ხორციელდება, ამიტომ *სანთური* დასარტყამ-სიმებიან საკრავთა ჯგუფს მიეკუთვნება. მსგავსი ტიპის საკრავს – მცირეოდენი განსხვავებებითა და იმავე ან სხვა სახელწოდებით – მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ვხვდებით.

არსებობს რამდენიმე განსხვავებული მოსაზრება საკრავის შექმნის ისტორიისა და ეტიმოლოგიის შესახებ.

ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, საკრავის სახელი *სანთური* ბიზანტიური „ფსალტირ“-ის (ბერძნ. ფსალტირიონის) სახეცვლილი ფორმაა: ფსალტირ – სანტ(თ)ირ – სანტ(თ)ურ. ზოგიერთი მონაცემით, *სანთური* უძველესი ინდური საკრავი იყო, რომელსაც თავდაპირველად „შატატანტრი ვინა“ ეწოდებოდა. ძველად ტერმინი „ვინა“ სხვადასხვა სახეობის სიმებიან საკრავს აღნიშნავდა, „შატატანტრი“ კი, სანსკრიტულ ენაზე – ასძალს. ამავე წყაროს თანახმად, საკრავის შემდგომი სახელი *სანთური*, რომელიც სპარსულად ასევე ასძალს ნიშნავს (სანტარ – 100 ძალი), ინდოეთში სპარსული ენის გავლენით უნდა დამკვიდრებულიყო. სხვა ცნობით, ინდური *სანთურის* წინაპარი მესოპოტამიაში შეიქმნა და აქედან იმოგზაურა აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში.

რაც შეეხება საქართველოში *სანთურის* ისტორიას, ეს საკრავი პირველად მოხსენიებულია სულხან-საბა ორბელიანის ნაწარმოებში „მოგზაურობა ევროპაში“. ამგვარად, სავარაუდოა, რომ *სანთური* XVII საუკუნის მეორე ნახევარში ქართველთათვის უკვე ცნობილი უნდა ყოფილიყო. *სანთური* მოხსენიებულია XVII-XVIII საუკუნის არაერთ ქართულ ლიტერატურულ ძეგლშიც.



სანთურის გამოსახულება სვეტიცხოვლის ფრესკაზე

სანთურის გამოსახულება პირველად სვეტიცხოვლის ტაძრის ფრესკაზე გვხვდება. ტაძრის ისტორიიდან ვგებულობთ, რომ ამ კედლის მოხატულობა XVII საუკუნეშია შესრულებული.

ზოგიერთი მეცნიერი თვლის, რომ *სანთურის* ქართული შესატყვისი საფსალმუნეა. ამას ადასტურებს წმ. გრიგოლ ნოსელის ცნობა *საფსალმუნეს შესახებ*: ფსალმუნი ესაა ღვთისადმი მიძღვნილი მუსიკალური სიტყვა და ჰიმნი. ასე იწოდება იგი იმ საკრავის გამო, რომელსაც *საფსალმუნე* ჰქვია. ამიტომაც, რომ სხვა წერილნი, რომლებიც საკრავზე არ იგალობებიან, არ იწოდებიან ფსალმუნებად“. წმ. ათანასე აღექსანდრიელი კი საკრავის აღწერისას აღნიშნავს: „*საფსალმუნე* ესაა ათსიმიანი მუსიკალური ინსტრუმენტი“. საკრავის ათსიმიანობას ერთ-ერთი ფსალმუნიც ადასტურებს: „ათძალითა საფსალმუნისათა უგალობდით უგაღსა“.

ძველი აღთქმის ერთ-ერთ თარგმანში *საფსალმუნე* ქნარად არის გადმოთარგმნილი; *სანთურის* სხვადასხვა შესატყვისებს ვხვდებით ლექსიკონებშიც. ესენია: ებანი, ქნარი და ჩანგი.

ებანი უძველესი ქართული მრავალსიმიანი სამუსიკო საკრავია, რომელიც წარმართული დროიდანაა ცნობილი. თავდაპირველად *ებანის* დანიშნულება საკრავთა მწყობრში მონაწილეობა და სიმღერაგალობის თანხლება ყოფილა. დაახლოებით ასეთივე დანიშნულება ჰქონია *ქნარსაც*, რომელიც პირველად V საუკუნის ლიტერატურაში მოიხსენიება. ჩანგიც

უძველესი სიმებიანი საკრავია, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ცნობილი, რომელიც ორგვარი უნდა ყოფილიყო – დიდი, დამკვრელის წინ დასადგმელი და პატარა, ხელში დასაჭერი. სავარაუდოდ, *სანთურის* სინონიმად სწორედ ამგვარი – დამკვრელის წინ დასადგმელი ჩანგია მიჩნეული.

ჩნდება კითხვა: თუკი ყველა დასახელებული ტერმინი ერთსა და იმავე საკრავს წარმოადგენს, მაშინ რაღა საჭიროა ამდენი სახელი?



სანთური საკრავების მუზეუმში

ქნარი და *ჩანგი* უცხოური სიტყვებია. *ქნარი* ებრაულ ქინორს და სომხურ ქნარს, *ჩანგი* კი სპარსულ ჩანკს შეესაბამება. *ქნარი* საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებისთანავე, უფრო სწორად, წმინდა წიგნების თარგმნისთანავე უნდა გამხდარიყო ცნობილი. *ჩანგის* სპარსული ეტიმოლოგიის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურასა და ყოფაში კი, ირანული მწერლობის თარგმანთა გავლენით შეიძლება აიხსნას. რაც შეეხება *სანთურს*, საკრავის ეს სახელი საქართველოში მხოლოდ XVII საუკუნიდან ხდება ცნობილი.

გამოდის, რომ საქართველოში გავრცელებული მსგავსი ტიპის საკრავის სახელთაგან მისი ქართული შესატყვისი მხოლოდ *ებანი* და *საფსალმუნე* ყოფილა. ტერმინები – *სანთური*, *ქნარი* და *ჩანგი* კი ჩვენში უცხოური ლიტერატურის თარგმნ-

ასთან ერთად უნდა შემოსულიყო და დამკვიდრებულიყო.

მრავალ ქვეყანაში – ირანში, საბერძნეთში, ინდოეთში, ერაყში, არაბულ ქვეყნებში *სანთური* დღესაც ტრადიციული და საკმაოდ პოპულარული საკრავია.

ირანული *სანთური* როგორც საანსამბლო, ასევე სოლო საშემსრულებლო საკრავია. მასზე უკრავენ მაღალი წრის საზოგადოების თავშეყრის დროს. ძველად სპარსეთში *სანთური* გამოიყენებოდა როგორც ერთგვარი სამკურნალო საშუალება. ექიმები ცხელებით დაავადებულებს ურჩევდნენ ესმინათ *სანთურისთვის*, რომელიც სიმშვიდეს მიჰგვრიდა მათ და განკურნავდა სნეულებისაგან.

ინდოეთში *სანთური* კაშმირის ფოლკლორული მუსიკის სათანხლებო საკრავად მოიაზრება. მასზე სრულდებოდა ასევე სუფისტური მუსიკა („Sufiana Mausiqi“) – რელიგიური, მისტიკურ-ფილოსოფიური სარიტუალო ჰიმნები.

ანტიკურ საბერძნეთში *სანთურს* სხვა საკრავებთან ერთად მწყობრში უკრავდნენ. იგი ჩართული იყო სახალხო დღესასწაულებსა და ქორწილებშიც, როდესაც მაყრიონი პატარძლის წამოსაყვანად მიდიოდა.

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმში დაცული მასალის თანახმად, დასტურდება ქართული *სანთურის* ბრძოლის ველზე გამოყენების შემთხვევები, სადაც მისი ფუნქცია დადლილ მებრძოლთათვის სულის ანთება – საბრძოლო სულისკვეთების გაღვივება და გამხნეება ყოფილა.

ზოგიერთი ცნობით, *სანთური* ქართლში ყოფილა გავრცელებული, რომელიც რაჭული გუდასტვირის მსგავსად, რეჩიტატიული სიმღერის ასაყოლებლად გამოიყენებოდა.

სამწუხაროდ, ამჟამად საქართველოში *სანთურზე* დაკვრის ტრადიცია დაკარგულია.

ეკატერინე შოშიაშვილი

ქართული ხალხური სიმღერისა და საკრავების მუზეუმის თანამშრომელი

ნადურები



გია ბალაშივილი

უძველესი რწმენა-წარმოდგენებით ნასაზრდოები შრომის სიმღერა საუკუნეების სიღრმეში იღებს სათავეს. ძვ. წ. VII ს. ასურეთის მეფე სარგონმა ყურადღება მიაქცია საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის სამეურნეო საქმიანობის მაღალ დონეს და იმას, რომ ისინი „მხიარული სიმღერებით ახალისებდნენ თავის შრომას“. უცხოელი მისიონერები – იტალიელი არქანჯელო ლამბერტი (1630 წ. ჩამოვიდა) და ფრანგი ფრანსუა და გამბა (1820 წ. ჩამოვიდა) ვრცლად აღწერენ ყანის სამუშაოებთან დაკავშირებულ ტრადიციებს, მათ შორის, სასიმღეროსაც და გაოცებულნი არიან შემსრულებელთა ხმებითა და ფილტვების სიმღერით.

აგრარული სამუშაოების თანმხლები სიმღერათაგან განსაკუთრებულ ყურადღებას ნადური სიმღერა იქცევს.

ნადი სოფლად ყანის თოხნაში, მკაში, მოსავლის აღებაში, სახლის აშენებაში ოჯახისათვის მეზობელთაგან, უსასყიდლოდ დახმარების ძველქართული ტრადიციას, რომელიც დიდი ნადიმით მთავრდებოდა. სულხა-საბა ორბელიანი ნადს განმარტავს, როგორც „მუშაკნი შეყრილნი“. ნადი ეწოდება მოკეთე-მეზობლების ჯგუფს, რომელიც უსასყიდლოდ ეხმარება მასპინძელს მუშაობაში.

ნადში სიმღერას განსაკუთრებული ადგილი ჰქონდა. მონაწილეთა რაოდენობა მომღერლების მიხედვით განისაზღვრებო-

და. მათი რიცხვი 8-12 კაციდან 30-40-საც აღწევდა.

ნადში შესასრულებელი სიმღერების კრებითი სახელი „ნადურია“. ნადური სიმღერები ძირითადად დასავლეთ საქართველოს რეგიონებში გვხვდება. აღმოსავლეთ საქართველოს კუთხეებიდან ტერმინი „ნადი“ მხოლოდ ჰერეთში (საინგილოში) შემორჩა. კახეთსა და ქართლში კი მკაში გაწეული დახმარების ამ ფორმას მამითადის, მუშანის, რიგ-რიგას სახელით იხსენიებენ.

განსაკუთრებით მრავლად შემოინახა ყანაში მუშაობის დროს სათქმელი ნადურები. ყანის ნადურს ხშირად „ყანურის“ სახელითაც მოიხსენიებენ. ყანური სიმღერები ორ-სამხმიანი და ზოგჯერ ოთხხმიანიცაა. ოთხხმიანი გურულ-აჭარული ნადურები კი ყველაზე ძნელად შესასრულებელი გრძელი სიმღერები გახლავთ. მათ, როგორც წესი, ორპირულად, ორბუნად – ორ გუნდად მღეროდნენ. აჭარაში ამგვარ შესრულებას „გადაბმულის“ სახელით იხსენიებენ. არსებობს ცნობები ნადურის სამპირული შესრულების შესახებაც.

სამხმიან ნადურებს „პირდაპირ ნადურებს“ ეძახდნენ. ოთხხმიანებს კი „გადაბრუნებულს“. აღსანიშნავია, რომ ოთხი ხმა ნადურის გარკვეულ მონაკვეთში – ჩვეულებრივ, სიმღერის მეორე ნახევარში იჩენს ხოლმე თავს. ოთხხმიანი „ნადურის“ თითოეულ ჯგუფში მომღერალთა შემადგენლობა ასეთია: ერთი დამწყები (შუა ხმა), ერთი გამყივანი, წვრილი ან კრიმანჭული (მაღალი ხმა), ერთი ან რამდენიმე შემხმობარი (სპეციფიკური ხმა, რომელიც ბანსა და შუა ხმას შორისაა ჩართული) და ასევე ერთი ან რამდენიმე ბანი (დაბალი ხმა). მელოდიურად ყველაზე შემოფარგლული ხმა შემხმობარია. იგი გაბმულ ბგერას წარმოადგენს, ზოგჯერ პატარა მელოდიური საქცევებიც აქვს. კადანსებში კი გლისანდირებს. შემხმობარს შრომითი პროცესის უწყვეტ განვითარებაში, სიმღერის საერთო სიმაღლის, საყრდენი ტონის შენარჩუნებაში განსაკუთრებული როლი ეკისრება – „სიმღერა მაღალში რომ არ გაიქცეს“ (მაგრამ ზოგჯერ შემხმობარიც ვერ აკაგებს, რადგან მხარეებს შორის შეჯიბრი და ემოციური დაძაბულობის ზრდა საყრდენი ტონის აწევას იწვევს). ნადურის სამხმიან მონაკვეთებში შემხმობარი ბანის ფუნქციას ასრულებს, ხო-

ლო ბანების შესვლის შემდეგ (ოთხხმიან ფაქტურაში) იგი მაღალი ბანის – ნაკლებად მყარი ჰარმონიული ფუნქციის მატარებელი ხდება და კვინტურ ბგერას ეფუნქცია.

იმერეთში შემორჩენილია ნადური სიმღერის ხმათა ორიგინალური სახელწოდებები: დვრინი, დაბალი ბანი, კრინი, მაღალი ხმა, ფიცხი, შეძახილი, დამძახნელი, კაფია, გამტანი. იმერულ ნადურებში იშვიათად კრიმანჭულიც გვხვდება, თუმცა იგი განვითარების ისეთ საფეხურს ვერ აღწევს, როგორც გურიაშია.

ტრადიციულად ნადურ სიმღერას იწყებს მთქმელი. მასვე მიჰყავს მთავარი მელოდია და სიმღერის ტექსტის შინაარსის გადმოცემა. დანარჩენი ხმები შეძახილებზე, ცალკეულ ხმოვნებსა და მარცვლებზე მღერიან.

თითოეულ ხმას თავისი განსაზღვრული როლი ეკისრება, რაც ერთობლიობაში საკმაოდ მწყობრ და, ამავე დროს, მეტად რთულ პოლიფონიურ ქსოვილს აყალიბებს.

ნადური სიმღერა ნელა იწყებოდა, შემდეგ მუხლი თანდათან მოკლდებოდა და ტემპიც მატულობდა. როგორც მომღერლები, ისე რიგითებიც სიმღერის ტემპს აყოლებდნენ თოხის მოძრაობას.

აჭარის სოფელში თუ ნადი ერთდროულად ორ ოჯახს ჰქონდა, ერთი მომღერლებს მოიწვევდა, მეორე კი – მეჭიბონეს. მეჭიბონე ნადს თავში ჩაუდგებოდა და მთელი დღის მანძილზე შრომის ტემპის შესაბამის ჰანგებს უკრავდა. ზემო აჭარაში (ჭვანას ხეობაში) ნადში ზოგჯერ მეჭიბონესთან ერთად მედავლეც (მელოლე) მოჰყავდათ.

ნადურები მრავალგვარია. მათი უმეტესობა სახელწოდებას წარმომავლობის ადგილიდან (მაგ., საჯავახურა, შემოქმედურა, ჩოჩხათურა, გურიანთულა, ბაილეთურა), ზოგიერთი – შესრულების ან ფორმის თავისებურებიდან იღებს („ჯიქურა“ – ყანის იერიშით ადება, „გორდელა“ – მოკლე ნადურია, გორდა მოკლე ხმაღს ნიშნავს), ზოგის სახელდება კი მასში გამოყენებული სალექსო სტრიქონის დასაწყისით ხდებოდა. ნადური სიმღერების დიდი ნაწილი სამღერისებზე – დღეს მნიშვნელობადაკარგულ სიტყვებზე იმღერება (რაშა, რაშავრერა, დიელო, ოდოია, ეპოია, ადილა, ვაიდილა, რიმტირი და ა. შ.).

ნადურებს ქალებიც ასრულებდნენ. ქალთა შრომით საქმიანობას (მატყლის გაწევა-დართვა) უკავშირდება „ხერტლის ნადური“ (ხერტალი – ხელტარი – თითისტარი). ამ სიმღერის სიტყვიერი ტექსტი უმეტესად სატრფიალო თემატიკის შაირებს წამოადგენს). ნადში მრთველ ქალებს შორის იმართებოდა შეჯიბრი. შესვენების დროს ცეკვავდნენ კიდევ. საინტერესოა, რომ ქალთა „ხერტლის ნადურის“ მელოდია მამაკაცთა მკის სიმღერების მსგავსია. თავად „ხერტლის ნადურის“ ერთ ვარიანტს („დღეს ამალი დევინახე“) კი მამაკაცები ასრულებენ. შესაძლოა, ეს ფაქტი უწინ ქალ-ვაჟთა ერთობლივი შრომის გამოძახილიც იყოს.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ნადურების უამრავი ვარიანტი არსებობს. მათი სიმრავლე იმაზე მიგვითითებს, რომ ამ ჟანრს საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. მათ წარმოშობას მეცნიერები ქრისტიანობამდელ ხანაში ვარაუდობენ.

„ნადური“ სიმღერა საქართველოში შრომის ჟანრის სიმღერების მშვენიერებაა. გურულ-აჭარულ ოთხხმიან ვარიანტებს, რომლებსაც ურთულესი მუსიკალური დრამატურგია აქვთ, შეიძლება შრომის სიმფონიებიც კი ვუწოდოთ. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნადურები, აგებულეებითა და მუსიკალური ენის ორიგინალობით, არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიოს ხალხთა შრომის სიმღერების გვირგვინსაც წარმოადგენს.

გია ბაღაშვილი
ეთნომუსიკოლოგი, მუსიკოლოგიის დოქტორი

ჩოჩხათურა

ჩოჩხათურა გურული ნადურია, რომელსაც ყანაში, სიმინდის თოხნის ან მარგვლის დროს სამუშაოდ მოწვეული გლეხები მღეროდნენ. სიმღერა მუშაობას ახალისებდა, ეს კი მრავალდღიანი სამუშაოს სწრაფად შესრულებას უზრუნველყოფდა.

ნადური „ჩოჩხათურა“ სოფელ ჩოჩხათში დაიბადა და იქიდან გაერცვლდა მთელ გურიაში. წინამდებარე ვარიანტი ჩაწერილია სოფელ სუფსაში 1927-1928 წლებში ავქსენტი მეგრელიძის მიერ. ასრულებდნენ: ქ. ჯიჯიეშვილი, ი. და ტ. გუჯაბიძეები, მ. ჭაკნელიძე, ი. ვასაძე და პ. მიქაშავიძე (ხელნაწერი დაცულია ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში – №№902,903).



ავქსენტი მეგრელიძე

ლოტბარის მინაწერში, რომელიც 1947 წლით თარიღდება, ნათქვამია: „ნადური ჩვეულებრივ ხალხურ სიმღერებისაგან ძლიერ განსხვავდება, როგორც ასრულების მხრივ, ისე ამსრულებელთა შემადგენლობის მხრივაც. აქ ხმების წყობა სულ სხვაა. მაგ., ბანი სულ არ არსებობს. თვითოეული დასის შემადგენლობა ასეთია: დამწეები (უთუოდ ერთი კაცი), წვრილი ან კრიმანჭული (ესეც უთუოდ ერთი კაცი) და შემხმობნი (ორი კაცი). ეს უკანასკნელი, რომელიც თითქოს ბანს ეუბნება, უმრავლეს შემთხვევებში მოძახილზე და ხშირად წვრილზედაც მაღლა ხმოვან-

ებს და არ არის მოძრავი. თითქმის თავიდან ბოლომდე ერთ და იმავე ბგერას ასრულებს. დამწეები და კრიმანჭული კი პირიქით, ძლიერ მოძრავია. პირველი დასი წინ მიდის, მეორე დასი კი უცვლელად იმეორებს იმას, რასაც პირველი დასი ამბობს“.

„ჩოჩხათურა“ ავქსენტი მეგრელიძეს გურული გლეხებისაგან ჩაუწერია, თუმცა, პატარობიდან თავადაც შესწავლილი ჰქონია ეს ნადური და მასში კრიმანჭულსაც ასრულებდა. „თუ ვინმეს სურს გურული ხალხური სიმღერების შესწავლა, უთუოდ ჯერ უნდა გაეცნოს გურულ ნადურებს, რომლებიც მთელ სიმფონიას წარმოადგენენ. თვითოეული ნადური შედგება 20-24 სხვადასხვა მუხლისაგან, რომლებიც ისე შესანიშნავად არის ერთმანეთზე მიბმული, რომ თანამედროვე გამოჩენილ კომპოზიტორსაც კი შეშურდებოდა ასეთი რამ. ერთი კი უნდა ითქვას: ნადური სცენაზე ვერ დასტოვებს მაყურებლებში ისეთ შთაბეჭდილებას, რასაც ყანაში მუშაობის დროს. გურული ნადური არის გურული ხალხური მუსიკის დედაბოძი. არცერთი სიმღერა ისე რთული და საინტერესო არ არის, როგორც ნადური“ – წერდა ავქსენტი მეგრელიძე.

უნდა ითქვას, რომ ნადურმა სხვა უანრის ხალხური სიმღერების მსგავსად, რომლებიც სოფლური ყოფის განუყოფელ ნაწილს შეადგენდა, სოციალური დანიშნულება დაკარგა და მას ყანაში აღარავინ ასრულებს. ამიტომ ნადურების სცენაზე შესრულება ერთადერთი საშუალებაა მათი გაცოცხლების და პოპულარიზაციისა. საბედნიეროდ, არაერთი თანამედროვე ფოლკლორული ანსამბლის რეპერტუარში დამკვიდრდა ნადური სიმღერები და მათ შორის „ჩოჩხათურაც“, რომლის საკონცერტო შესრულებას ხანგრძლივი ოცაციებით ხვდება როგორც ქართველი, ისე უცხოელი მსმენელი.

მოამზადა მაკა ხარძიანმა

გთავაზობთ ავქსენტი მეგრელიძის მიერ ჩაწერილ და ნოტირებულ „ჩოჩხათურას“ წიგნიდან: „ქართული ხალხური მუსიკა ავქსენტი მეგრელიძის არქივიდან“ (შემდგენელი: ნ. მოისწრაფიშვილი, თბილისი, 2005)

ჩოჩხატურაი

čočxaturai

Andantino ♩ = 72

I დასი I group	II დასი II group	I დასი, II დასი (მონაცვლელობით) I group, II group (alternately)
-------------------	---------------------	--

o - s u - o o - u o - ho i - o o - ho ho
 i - a u - o o - u o - ho i - o o - ho ho
 o - - - ho o o

o - s u - o o - u o - ho ho
 i - a u - o i - o ho ho
 e - ri - o o i - a u - o ho
 e - ri de - li - a - sav da
 he

o - s u - o o - u o - ho ho
 i - a u - o i - o o - ho hi
 e - ha ha ha
 e i - a - u i - a - u i - a - u

o - da de - la
 i - da de - la
 he - i mo - vi - do - da
 e i - a - u i - a - u i - a - u
 ha

და წყა-ლი შა-ვი ჰო
 da çqa - li şa - vi ho

ო - ავ და რი-რავ და რე - რა
 i - av da ri - rav da re - ra

ე - ჰა ჰე - ა ო - ჰო ჰო
 e - ha he - a o - ho ho

რამდენჯერმე
 Several times

ნა - ნი-ნა და მო-ვი-დო-და წყა-ლი შა-ვი წყა-ლი შა-ვი და
 na - ni-na da mo - vi - do - da çqa - li şa - vi çqa - li şa - vi da

ო - ვო რა-ნი-ნა და
 o - vo ra - ni - na da

ჰე - ი და ჰე - ი და მო-ვი-დო-და ჰე - ი და ჰე-ი და მო-ვი-დო-და ჰე და
 he - i da he - i da mo - vi - do - da he - i da he - i da mo - vi - do - da hej da

ჰო
 ho

ჰო
 ho

4x

ჰე და ა - დი-ლე ჰე და დი-ე - ლა და ო - ჰო ჰო
 hej da a - di - le hej da di - e - la da o - ho ho

ჰო
 ho

ჰე
 he

4x

ჰე - ა ჰა ჰა ჰა ვო ჰო ჰო - ი ი - და ი - ი ჰე - ა ჰა
 he - a ha ha ha vo ho ho - i i - da i - o he - a ha

ჰე ჰე
 he he

ო - ჰო ჰო ე - ჰე ი - ი ი - ი ვო - რი - რა - ო რე - რა და
 o - ho ho e - he i - o i - o vo - ri - ra - o re - ra da

ნა - ნი - ნა ე - ჰე ი - ი ი - ი ო - ლე ვო - რი - რა და ი - ი
 na - ni - na e - he i - o i - o i - ov vo - ri - ra da i - o

ო - ა უ - ო ჰო უ - ო ჰო ი - რი - ა უ - რუ - ო ი - რი - ა ჰო ო - ო ჰო
 o - a u - o ho u - o ho i - ri - a u - ru - o i - ri - a ho o - o ho

ი - და ი - ი ი - - - ი - და ი - ი ე - - - ჰე ო - ჰო უ - ო ი - ი ჰო!
 i - da i - o i - - - i - da i - o e - - - he o - ho u - o i - o ho!

ჰე ჰე
 he he

რამდენჯერმე რამდენჯერმე
 Several times Several times

poco a poco accell.

4x

o - da o - lo
i - da i - o

o o - lo o o - lo
i i - o i i - o

ე - რი - ო ჰო
ev - ri - o ho

ე - - - ჰე
e - - - he

ო - ა უ - ა ო - ო ჰო
i - a u - a i - o ho

ჰე
he

Allegretto *poso a poco accell.*

I დასი I group რამდენჯერმე Several times რამდენჯერმე Several times მრავალჯერ Many times

o - lo
i - o

o - lo
i - o

o - lo
i - o

ე - ჰე
e - he

ჰე he II დასი II group ჰე he ჰე he

o - lo
i - o

o - lo
i - o

o - lo
i - o

ე - ჰე
e - he

ჰე he ჰე he ჰე he

მრავალჯერ
Many times
მრავალჯერ
Many times
მრავალჯერ
Many times

o - o
i - o

ჰე
he
ჰე
he
ჰე
he

o - o
i - o

ჰე
he
ჰე
he
ჰე
he

მრავალჯერ
Many times
მრავალჯერ
Many times
A tempo

o - o
i - o

o - ho ho
o - ho ho

ჰე
he
ჰე
he

o - o
i - o

o - ho ho
o - ho ho

ჰე
he
ჰე
he

რედაქტორი:
მაკა ხარძიანი

მთარგმნელი:
მაია კაჭკაჭიშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა:
მაკა ხარძიანი
ლევან ვეშაპიძე
ლელა მაქარაშვილი

© ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრი, 2014

eISSN 1512-228X

ბიულეტენი გამოდის წელიწადში ორჯერ, ქართულად და ინგლისურად

მისამართი: საქართველო, თბილისი, 0108, გრიბოედოვის ქ. №8/10.

ტელ: (+995 32) 2998953, ფაქსი: (+995 32) 2987187

ელ-ფოსტა: polyphony@conservatoire.edu.ge

www.polyphony.ge

ბიულეტენის შემდეგი ნომერი გამოვა 2014 წლის დეკემბერში